წელიწადი მესამე — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 9 ოქტომბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 38

ჟურნალის შინაარსი

პასუხად რუბენს— **კოლია ჯანელიძე**; „ბრძოლის" რედაქციას— **ყარიბი**; რა სურს ემიგრაციას— **ლეო შენგელაია**; დამოუკიდებელი საქართველო და რუსი ემიგრანტები— **ალ. ხელაძე**; პოლიტიკური მიმოხილვა— **კ. მეიშვილი**; მომჭირნეობაც ასეთი უნდა— **პროლეტარი**; ხმა სვანეთიდან —**ე. ძაბლიანი**; პლეხანოვი სახ. კლუბში — **ლ. კუპრაშვილი**; რკინისგზის რამე-რუმე— **დუღამი**; ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკებ-ს ხმა; მომღერალი ძეგლი — მოთხრობა— **როდიონ ქორქია**; წერილი პროვინციიდან.

# პასუხი რუბენს

**ძმაო რუბენ!**

შენ სრულ ჭეშმარიტებას ამბობ, როცა მწერ: ჩვენ ერთი ბარიკადის ორ სხვადასხვა მხარაზე ვიბრძვითო და ასეთ მდგომარეობაში იქნება „ძმობით" ლაპარაკი მეტისმეტად სანტიმენტალური გრძნობით ნაკარნახევათ ჩამოგვართვას ვინმემ, მაგრამ შენ ასე მომმართე და მეც „ძმობითა" გწერ.

ეს—ეს არის გადმომიგზავნეს შენი წერილი და ვეცდები შესძლებისდაგვარად გიპასუხო ყველა შენ მიერ წამოყენებულ დებულებებზე.

შენ ცდილობ მომაგონო, თუ როგორი მიჭირდა მე „უკან მოხედვა", ესე იგი თვითონ პარტიაში, პარტიის ლიდერებისადმი კრიტიკის წარმოება. სცდები, ჩემო რუბენ. სალი კრიტიკის მომხრე მე ყოველთვის ვიყავი, უმისოთ, დამერწმუნე, რომ მე დღეს კომუნისტურ დროშის ქვეშ არ დავდგებოდი. ნუ ფიქრობ. რომ მე ისე უკრიტიკოთ, საქმის აუწონ-დაუწონველად, ვისიმე შიშით ან მოსყიდვით, როგორც ეს ჩვენს ყოფილ ლიდერებს გონიათ, გადავდგით მე და საერთოდ ყველა ჩემმა ამხანაგებმა ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი. თვითმპყრობელობაზე უფრო საშიშარი რაღა იქნებოდა? თუ მოსყიდვაზე იყოს საქმე—ოქროც მას მეტი ქონდა, ვიდრე კომუნისტებს, მაგრამ მან, თვითპყრობელობამ, ვერც დაგვაშინა და ვერც მოგვისყიდა.

მაშ დღეს რა მოხდა, რომ ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ნაბიჯი გადავდგით?

პასუხი ასეთია: დიდი ხნის დაკვირვებამ, თვალით ნახულმა, ყურით გაგონილმა და ხელის შეხებით გამორკვეულმა ცხოვრების სინამდვილემ დაგვანახა, რომ მშრომელ კაცობრიობისთვის მენშევიზმს ბოლშევიზმი სჯობს და ფაშიზმს კომუნიზმი.

ამის შეგნებას კრიტიკული აზროვნება სჭირდებოდა, ჩემო რუბენ და თუ ჩვენ შავი თეთრიდან გავარჩიეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ კრიტიკული აზროვნება შეგვძლებია. იმასვე ვერ ვატყობ მე შენისა და შენი ამხანაგების მხრით და ეს მე დიდ უბედურებათ მიმაჩნია.

მე შენ მაგონებ, რომ მე ცუდი აზრის ვიყავი შენს ნაცნობ ილიაზე და პარტიისადმი მისი კრიტიკის.

არც ეს არის მართალი. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ მარტო ილიას გამოსვლას არა აქვს პოლიტიკური დირებულება მეთქი. მერე ეს მართალი არ იყო? აბა რა მნიშვნელობა, რა პოლიტიკური წონა ექნებოდა ჩემს გამოსვლას მენშევიკებისა და მენშევიზმის წინაალმდეგ მე რომ მარტო ვიყო?

მელაპარაკები ამხ. ახალგზელებზე, რომლებიც დღეს „დგანან ბარიკადის იქითა მხარეზე და უშენენ ემიგრაციას". ამბობ სახელდობრ ყარიბზე, რომელიც დაუზოგველად ურტყამს ემიგრაციის ლიდერებს და გვასწავლი: ეს არ ვარგაო.

ჟორდანია-რამიშვილის სადირექტიეო წერილების შესახებ მწერ: ვაი თუ მაქ ამ წერილებმა სამსახური გაუწიეს კომუნისტებს. და ყოფილ ამხანაგების პარტიიდან გასვლა გამოიწვიაო. „ჟორდანია-რამიშვილი თუ არ ვარგა, პარტია რა შუაშია? ს.-დ. პარტიის შეხედულება ხომ საერთაშორისო ხასიათისაა და ვისაც ჟორდანია-რამიშვილი არ მოსწონს, ხომ შეუძლია იმედები სხვა იდეოლოგებზე, სწორ გზაზე მოსიარულე და მოაზროვნეებზე, გადაიტანოს. ხომ შეუძლია თუ ვინმე გზადაბნეულად ეჩვენება, იმისი შეკვრა პარტიის შიგნით სცადოს მაინცო".

პასუხს მოგახსენებ.

ჩვენ ს.-დ. პარტიას მივყვებოდით არა იმიტომ, რომ მას აქ, საქართველოში, ხელმძღვანელობდა ნ. ჟორდანია, წერეთელი, რამიშვილი და სხვები. სრულიადაც არა. ეს პარტია ჩვენ **მიგვაჩნდა პროლეტარიატის პარტიათ, რომელიც აწარმოებდა** კლასობრივ ბრძოლას და გამოდიოდა პროლეტარიატის მებაირახტრეთ. ჩვენ ამ პარტიაში მისთვის ვირაზმებოდით, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გვეწარმოებია ჩვენი კლასობრივი მტრების კაპიტალიზმისა, კაპიტალისტებისა და ყოველგვარი პრივილეგიებით აღჭურვილი კლასებს წინაალმდეგ. ვინც ჩვენ ამას გვასწავლიდა, ჩვენი ბელადიც და თუ გინდა, გმირიც ის იყო. ჩვენც მას ვუჯერებდით.

ჩვენ ასე გვესმოდა მარქსიზმიცა და მისი მოძღვრება, რაც მხოლოდ ერთ ლოზუნგში გამოიხატებოდა:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

მარქსიზმი ჩვენ ასე გვესმოდა, რომ ჩვენ, ყველა ქვეყნის პროლეტარები შეერთებულის ძალით უნდა შევებრძოლოთ ყველა მოწინააღმდეგე კლასებს, წავართვათ მათ ძალა-უფლება და პროლეტარიატის დიკტატურის საშუალებით დავამყარებთ სოციალიზმსო.

აი რა გვინდოდა და გვინდა ჩვენ, აი ვის, და როგორ პარტიას მივყვებოდით ჩვენ და არა რომელიმე პიროვნებას!

მერე გაამართლა მსოფლიო მენშევიზმმა პროლეტარიატის ასეთი იმედები? არა, არ გაამართლა! ავილოთ იგივე საქართველოს ფარგლებში. გაამართლა ჩვენმა მენშევიკურმა პარტიამ ჩვენი ასეთი იმედები? ვერა, ვერ გაამართლა. სრულიად წინააღმდეგ, საქართველოს მენშევიკები შეუერთდა თავის კლასობრივ მოსისხლე მტრებს და მათთან ერთად ებრძვიან მსოფლიოში ერთად ერთ სოციალისტურ კომუნისტურ პარტიას.

ისევე მოიქცენ მეორე ინტერნაციონალში შემავალი ყველა პარტიები. ისინი ბრძოლის მაგიერ შეურიგდენ და შეუხმატკბილდენ ბურჟუაზიას, ისინი არა თუ მორალურად აჩლუნგებენ პროლეტარიატის ბრძოლას, პირდაპირ და აშკარად გამოდიან კაპიტალისტების მომხრეებათ.

ამნაირად, მარქსის დიდებული ლოზუნგი სულ თავდაყირა დააყენეს მენშევიზმის ბელადებმა. ნუ თუ ეს პროლეტარიატისა და სოციალიზმის საქმის ღალატი არ არის?

გავიხსენოთ მთელი რიგი მოვლენებისა ამ ათი წლის განმავლობაში ევროპის მუშათა მოძრაობიდან. როგორი როლი ითამაშეს ამ მოვლენებში მეორე ინტერნაციონალმა და მასში შემავალმა პოლიტიკურმა პარტიებმა? აიღეთ 1924 წლის ინგლისის მუშათა გამარჯვება არჩევნების დროს. გამოიყენეს თუ არა იგი მეორე ინტერნაციონალში გაერთიანებულმა პარტიებმა მუშათა კლასის სასარგებლოდ? არა... მოიგონეთ ინგლისის მაღაროების მუშების ბრძოლა. რა ხელმძღვანელობა გაუწია ამ საქმეს მეორე ინტერნაციონალმა? პირიქით, მან გასცა გაფიცული მუშები და მით ლახვარი ჩასცა პროლეტარიატის და სოციალიზმის საქმეს. რა ქნა გერმანიის ს.-დემოკრატიამ, რომელსაც ხელთ ეპყრა მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება? მან გინდენბურგს ჩააბარა იგი და მით მუშათა საქმე დიდი ხნით დაასამარა. მოიგონე იმავე მეორე ინტერნაციონალის გამცემლური როლი ჩინეთის რევოლიუციის დროს...

ყოველი ეს და კიდევ მრავალი ასეთი ფაქტები ნებას მაძლევს ვთქვა, რომ მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა კლასს, რომ ის ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს. ასეთივე მუშათა ინტერესების საქმის ღალატი არ არის მეორე ინტერნაციონალის საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება?

გითხარი და გიმეორებ, რუბენ ჩემო, რომ მე მწამდა ჟორდანია, რამიშვილი, წერეთელი და ყველა სხვა ბელადები ს. ს. დ. პარტიისა, სანამ ისინი იდგენ კლასობრივ ნიადაგზე, სანამ ისინი თუ წინ არ მიუძღოდენ, ხელს მაინც არ უშლიდენ მუშათა კლასს ბურჟუაზიასთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ დღეს, როცა მათ ფრონტი შეიცვალეს და ბურჟუაზიის ბანაკიდან პროლეტარიატს ებრძვიან, ნურას უკაცრავად თუ ისინი მუშათა ბელადებათ არ ვიწამოთ და მათ კრიტიკულად შეხება გავუბედოთ.

როცა ს. ს.-დ. პარტიის დასახელებულ ლიდერებს ვუჯერებდით, ნუ თუ ჩვენ მაშინ არა გვწამდა პროლეტარიატის დიქტატურა? ნუ თუ შენ გგონია, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკის მათაყვანებელი ვიყავით. ძალიან სცდებოდი თუ ფიქრობდი: დემოკრატიულ რესპუბლიკას დავაარსებთ საქართველოში და ამით ჩვენი ბრძოლაც ამოიწურებაო. ჩვენ ასე არ ვფიქრობდით. ჩვენთვის დემოკრატიული რესპუბლიკა მხოლოდ საშუალება იყო და არა მიზანი.

დღეს კი რას ვხედავთ? ს. ს.-დ. პარტია მისი ხელმძღვანელების მეოხებით ხელმოწყვეთ დაექანა კონტრრევოლიუციის გზაზე, სულ ერთიანად წმინდა შოვინისტურ პარტიათ გადაიქცა.

ვისთან არიან დღეს კავშირში ს. ს.-დ. პარტიის ლიდერები? ისინი დღეს იმათთან არიან კავშირში ვისაც მთელი ოცდა ათი წელი ებრძოდა ჩვენი პარტია—ყოველი ჯურისა და ფერის ქართველ შოვინისტებთან, დაწყებული ფედერალისტებიდან და გათავებული ახლად დაბადებულ ქართველ ფაშიზმთან.

ვის ებრძვის ეს „პატივცემული“ კომპანია?

კომუნისტურ პარტიას, მთელ მსოფლიოში ერთადერთ სოციალისტურ პარტიას.

აქ, რუბენ ჩემო, მე აშკარად ვხედავ მუშათა კლასის ინტერესების ღალატს.

შენ მართალი ხარ. ჩვენ დღეს სხვა ბარიკადებიდან ვიბრძვით,მაგრამ ჩვენი ბარიკადები,მუშათა ბარიკადებია ისინი მუშათა ინტერესებს იცავენ. თქვენ კი ზიხართ ბურჟუაზიის ბარიკადებში და იქიდან მუშათა კლასს ებრძვით.

შენ და შენმა დღევანდელმა ამხანაგებმა უღალატეთ მუშათა საქმეს. თქვენ გაექეცით მუშათა კლასს. ჩვენ არსად არ გავქცეულვართ: ვიყავით, ვართ და ვიქნებით პროლეტარიატის დიკტატურისა და მისი საშუალებით სოციალიზმის დამყარების მომხრეთ.

1924 წლის დაღუპულების საფლავებს მაგონებ. ის ჩვენ უთქვენოდაც არ დაგვიწყებია და არც დავივიწყებთ, როგორც ჟორდანია-რამიშვილის მიერ მოწყობილი ავანტიურის მსხვერპლების საფლავებს. ეს საფლავები თავისი ლოდებით საუკუნეთ უნდა ეწვეს სიმდისზე მენშევიკური პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ხელმძღვანელებს...

ამ საფლავების გათხრის მიზეზები თქვენ უნდა ეძებოთ მაქ, პარიზში, ემიგრაციაში. თქვენ მაქ, ალბათ, ყოველ დღე ხედავთ ამ უბედურების მთავარ რეჟისორებს, ჟორდანია და რამიშვილს, რომლებმაც ახლაც მოისურვეს ამ საშინელი ავანტიურის ერთხელ კიდევ გათამაშება.

ეხ, რუბენ, რუბენ! რატომ გამოლმას გვედავები? რატომ ჩვენ გვასწავლი ჭკუას და მაქ ნამდვილ დამნაშავების წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც ვერ ბედავ? რატომ არაფერს ლაპარაკობთ შენ და შენი ამხანაგები ამ ახალი ავანტიურის წინააღმდეგ მაინც? რას ნიშნავს შენი და თქვენი სიჩუმე? რა მებრძოლები ხართ, რომ ასე ეთაყვანებით ჟორდანია-რამიშვილს და ხმის ამოღებას კი ვერ ბედავთ. თქვით, დასძარით ენა. ჩვენ არ გეხვეწებით ჩვენი ნაბიჯების მოწონებას. პირიქით, დაიწუნეთ ყოველი ჩვენი მოქმედება. მხოლოდ პრინციპიალურათ კი იმსჯელეთ.

მინდოდა რამ, მეთქვა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ, მაგრამ ამაზე „ახალ გზაში“ ერთობ ბევრი დაიწერა და ვისაც ყურნი სმენად აქვს და თვალები ხედვად, იქიდანაც გაიგებს.

აქ ყოველიფერი კეთდება მუშათა კლასისა და მთლიანად ქართველი ხალხისა და მთელი ერის საკეთილდღეოდ.

და თუ თქვენი ემიგრაცია ამ აღმშენებლობის საქმეში ქართველ მუშასა და გლეხს არ ეხმარებით, თავი მაინც დაგვანებეთ, ხელს მაინც ნუ გვიშლით თქვენი ავანტიურებით.

თუ თქვენ ქართველი ხალხისთვის სიკეთე გინდათ, აქ ჩამობრძანდით და ჩვენთან ერთად იმუშავეთ მის საკეთილდღეოდ.

ვინც ჩვენ ასეთ მუშაობაში ხელს გვიშლის ის ხალხის მტერია და ჩვენც მას დავხვდებით ისე, როგორც მტერს. და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუ თქვენ საბჭოთა საქართველოზე სამტროდ წამოხვალთ, ყველა თქვენს ყოფილ ამხანაგებს იარაღით ხელში ნახავთ ყველა სხვა კომუნისტებთან ერთად.

აი, ჩემო რუბენ, ჩემი და ყველა ჩემი ამხანაგების პასუხი შენს წერილზე.

ჯერ კი მიიღე სალამი. შენი ყოფილი ამხანაგი,

**კოლია ჯანელიძე.**

# „ბრძოლის" რედაქციას

## I

**Probomo**

„ბრძოლის" კალმოსნები დიდი ხანია იჩენენ სურვილს, რომ მე ჩემი საკუთარი ხელით, ჩემი საკუთარი ბიოგრაფია დამაწერიონ.

ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც მკითხველს პირველ შეხედვით ეგონება.

მკითხველი მართალია: მართლაც რა დიდი საქმეა ავტო-ბიოგრაფიის დაწერა? აიღე კალამი და მოყევი: მე დავიბადე ამა და ამ სოფელში, ამა და ამ წელს. მამა ჩემი ულარიბესი გლეხი ან მუშა იყო. მე ისეთ აუტანელ პირობებში ვიზრდებოდი, რომ ხმელი მჭადიც მენატრებოდა... სამი წლის ძლივს ვიქნებოდი, რომ სარევოლიუციო მოღვაწეობას ხელი მოვკიდე...

ამის შემდეგ მოყევი და ასწერე შენი რევოლიუციონური კარიერა. თუ შენი არ მოგეპოება, სხვისი მოიპარე. თუ ცოცხალი მოწმეები არა გყავს, მკვდრები იმოწმე. ეს უკანასკნელები ხომ ისეთი ხალხია, რომ არასოდეს არ გაგცემენ..

და ბოლოს ისეთი დასკვნა გააკეთე, რომ თუ ბუნებას არ მიეღო კაცობრიობისათვის მოწყალება და შენ არ გაეჩინე, რუსეთში რევოლიუცია არ მოხდებოდა და ნიკოლოზ მეორე დღესაც ისევ ისე იჯდებოდა რუსეთის სამეფო ტახტზე...

როგორც ხედავთ, ავტო-ბიოგრაფიის დაწერა მართლაც არ ყოფილა საძნელო საქმე. მაგრამ, გამოგიტყდებით, რომ მე მაინც მეძნელება „ბრძოლის" კალმოსნების სურვილის ასრულება, მეძნელება ჩემი საკუთარი ბიოგრაფიის დაწერა.

და ეს სიძნელე მრავალი სხვადასხვა პირობებიდან და მოსაზრებიდან არის გამოწვეული.

დავიწყოთ იქედან, რომ მე ეს საქმე პირდაპირ სასირცხო საქმეთ მიმაჩნია.

რა არის სასახელო და თავმოსაწონი იმაში, რომ ადამიანმა თავისი საკუთარი ხელით ტანისამოსი გაიხადოს და ყველას, მტერსა და მოყვარეს დაანახვოს ის დიდი თუ პატარა, ის ფიზიკური თუ სულიერი ქრილობები, რომლებიც მას მიუღია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თუ საზოგადოებაში ფიზიკურად გატიტვლება სასირცხო საქმეთ არის აღიარებული, განა უფრო სასირცხო საქმე არ არის სულიერი გატიტვლება, შენი სულის საქვეყნოდ გამოტანა.

ძველ რომაელებს ჩვეულება ჰქონდათ: ყოველ ოჯახში უეჭველად უნდა ქონოდათ წინაპართა ქანდაკებები, რომლებსაც სახლის საუკეთესო ნაწილი ქონდათ მიჩენილი. როცა ოჯახის წევრი მოკვდებოდა, დამარხვის დროს, ეს ქანდაკებები კუბოს წინ მიქონდათ და ოჯახის რომელიმე წევრი მოუყვებოდა დამსწრე საზოგადოებას თავის წინაპართა, როგორც ძველების, ისე ახალ გარდაცვალებულის საგმირო საქმეებს და ქებათა-ქებას.

მაგრამ ეს რომაელები იყვენ. იქნება მათ მართლაც ქონდათ ბევრი რამ ისეთი, რის გამოჩენაც დამსწრე საზოგადოებას ცხოვრების სარკეთ გამოადგებოდა.

ვისაც ასეთი დიდი რამე აქვს გამოსაჩენი, დეე, გამოაჩინოს, მაგრამ მე რა? მე ხომ ასეთების რიცხვს არ ვეკუთვნი. მე თვითონ ჩინებულად ვიცი, რომ ბუნებას სულაც რომ დავიწყებოდა ჩემი გაჩენა და „მობრძანებითა ჩემითა",—როგორც ძველად „საჭვეე" ქაღალდებში წერდენ ხოლმე ჩვენი წინაპრები,—ქვეყანა არ „გაებარებია", მაშინაც არაფერი არ შეიცვლებოდა: ბუნება თავის კანონსა და გზას არ გადაუხვევდა, რუსეთში რევოლიუცია მაინც მოხდებოდა, მსოფლიო მენშევიზმი პროლეტარიატს მაინც უღალატებდა.

—ეს გარემოება ყველაზე უფრო მიშლიდა ხელს „ბრძოლის" კალმოსნების სურვილი შემესრულებია.

მართლაც ვის ეინტერესება ბიოგრაფია და ისიც ავტო-ბიოგრაფია იმ ადამიანისა, რომელსაც არავითარი ბიოგრაფია არა აქვს?

ვიცი, მკითხველს გაეცინება ჩემს ასეთ განცხადებაზე. მე კი სერიოზულად მოგახსენებთ, რომ არავითარი ბიოგრაფია,—თუ ასეთად დღეს მოდაში შემოსულსა და ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ ტრაფარეტს არ მივიღებთ,--მე არ გამაჩნია.

ჩემი ბიოგრაფია—ჩემი ნაწერებია. მალე ოცდათხუთმეტი წელიწადია მას შემდეგ, რაც მე წერა დავიწყე. ვწერდი და ვწერ ყველაფერზე, რაზეც გონება მიმიწვდება, ვწერ იმაზე, რაზე წერა და ლაპარაკიც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ვწერ მთელი ჩემი შეგნებით, მთელი ჩემი გრძნობითა და ნერვებით.

მე ისა ვარ რასაც ვწერ, არც მეტი არც ნაკლები. ჩემი პირადი ცხოვრება იწყება და თავდება იქ, სადაც იწყება და თავდება ჩემი პროფესია—ჟურნალისტის ყოვლად უმადური პროფესია.

ცუდია ჩემი ნაწერი—მეც ცუდი ვარ. კარგია-კარგი!

ოცდა-თხუთმეტი წლის განმავლობაში, თანამებრძოლი, თანამგზავრი და მეგობარი ბევრი მყოლია; ასჯერ და ათასჯერ მეტი მტრები და მაგინებლები. ჩემმა მწერლობამ ერთი მტერიც ვერ მომანადირებია, ვერ დამიმეგობრა; ძველი მოყვრები და თანამებრძოლებიდანც კი, როგორ დღეს ყველა ხედავს ბევრი მტრად გადამექცა.

და ეს, ალბად, გამომდინარეობდა ჩემი წერისა და მწერლობის ხასიათიდან. გატეხილი მოგახსენოთ: ასეთი დიდი დროს განმავლობაში წერითა და სიტყვით არავინ არ მიქია, არავისთვის არ მიკბევია. იქნება ეს იყო ჩემი ძირითადი თვისება, რომ ჩემს სიცოცხლეში ერთი ნეკროლოგიც არ დამიწერია, რადგან ვიცოდი ძველი რომაელების თქმულება: მკვდარზე ან არაფერი არ უნდა თქვა, ან უნდა აქო. არავინ არ მიქია, რადგანაც ვფიქრობდი, რომ საქებ საქმეს ქება-დიდება არ ესაჭიროება, ის უმისოდაც გზას გაიკვლევს მეთქი. ჟურნალისტის წერის ობიექტათ მხოლოდ ცხოვრების სიდუხჭირისა და სისაძაგლის მხილება მიმაჩნდა.

ასე ვფიქრობდი და ასე ვფიქრობ დღესაც; ამას ვემსახურებოდი 35 წლის განმავლობაში და ვფიქრობ, სიკვდილამდე ამას ვემსახურო.

ამის შემდეგ მკითხველი დაიჯერებს ჩემს გულწრფელობას თუ ვიტყვი, რომ მე არავითარი სურვილი არ შეიძლებოდა მქონოდა ავტო-ბიოგრაფიის წერისა.

მომავალში ვფიქრობ არ გამოვიყენო ბოროტად მკითხველის ყურადღება. მაგრამ „ბრძოლის" კალმოსნები აგერ სრული სამი წელიწადია, რაც ჩემს „საქმეებში" იქექებიან, სამი წელიწადია, რაც ისინი ჩემ პორტრეტის დახატვას და მკითხველთათვის მისი წარდგენას ამაოდ ცდილობენ. ამიტომ ცოდვათ ნუ დამეთვლება, თუ დღეს სიჩუმე დავარღვიო, თუ ერთხელაც არის ვეცადო ჩემს ოწმუნას და მათ ამ საქმეში დავეხმარო.

არალეგალურ გამოცემას ის უპირატესობა აქვს, რომ რევოლიუციონურად განწყობილი მკითხველი მას უფრო უჯერის, ვიდრე ლეგალურს, მაგრამ ასეთ გამოცემას ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მას არა თუ მკითხველის ფართე მასები, არამედ მისი ასეთ საქმეში უფრო დაინტერესებული ნაწილიც ვერ შოულობს წასაკითხავად.

გაზეთი „ბრძოლა"-ც ასეთ მდგომარეობაშია. მისი კალმოსნები სწერენ, გულანძლავენ, თავზე კაკალს გვატეხენ,

და რამოდენიმე ათეული ქართველი ემიგრანტებისა და ჩვენ, „ჩეკის პუბლიცისტებს“ გარდა, მათ ნაწერს ქართველი ხალხი ვერ კითხულობს.

მე კარგად ვგრძნობ „ბრძოლისა“ და მისი კალმოსნების ასეთი მდგომარეობის უხერხულობას და იმდენად, რამდენადაც საქმე პირადად მე შემეხება, ვეცდები მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინო და მით ქართველი მკითხველების ფართე მასებსაც საშუალება მივცე ჩემს წინააღმდეგ „ბრძოლის“ წერილებსაც გაეცნონ.

ამ მიზნით ვიღებ ხელში „ბრძოლის“ პირველ ნომერს და მომყავს იქედან ჩემი საკუთარი ბიოგრაფია. მომყავს სიტყვა, სიტყვით შეუცვლელად.

„მახარაძეს შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ ის შენდობას არა თუ ღებულობს, არამედ თვითონაც იძლევა. შენდობა მამაო—მიაძახეს მახარაძეს აქედან-იქიდან და მათ შორის ყველაზე უფრო მყვირალათ პ. გელეიშვილმა. ეს ვაჟბატონი გაუთავებელ წერილებში მოგვითხრობს თუ რატომ „მეტი ვერ მოითმინა“, თუმცა ყველამ იცის, რომ პეტრეს არასოდეს არ ქონებია მოსათმენი ტვირთი. მთელი მისი სულიერი ბარგი-ბარხანა კატას აეკიდება და მას არაფერი მიმატებია არცერთი რევოლიუციით. ეს ცალიერ-ტარიელი კაცი ახლა თითო არშინ ფელეტონებს აცხობს და კომუნისტების დაცალიერებულ ორგანოს ავსებს. ამათ ახლა მეტათ ესაჭიროებათ გრძელ ენიანი რენეგატი (ალბათ, დევდარიანმა გაათავა თავისი როლი), რომელსაც აზრი არ აწუხებს, მხოლოდ ენა კი მუდამ ექავება. პეტრეც სეითსავით იწყებს—ჩეკის მასალებით, პოლიტიკური ჟურნალში შეკრებილი ცნობებით. მისთვის ეს არც ისე ახალი ამბავია. „პეტერბურგის გროდონაჩალსტვო“-ს ორგანოს და „თბილისის ფურცლის“ თანამშრომელი ჩვეულია პოლიციის ლიტერატურით დაიწყოს. მხოლოდ მაშინ ერთი პარტია მას ამოიყვანდა ამ ტალახიდან და გარეცხდა. ახლა კი აღარც ამომყვანი ყავს და აღარც ამოსაყვანია. მეტად ღრმად ჩაფლულია.

ის იწყებს თავის სტიქიით—ამა თუ იმ პირის ლანძღვა-გინებით. სხვანაირათ მან არც იცის წერა და არც არასოდეს დაუწერია. ვინც რამეს აწყენიებს—პეტრეც მას მივარდება პირველ ყოვლისა. აი კარლო ჩხეიძე დიდი დამნაშავე გამოდგა. მან თურმე პეტრეს დუდუკზე არ დაუკრა ბათომში. მარა მაშინ იყო ორი პეტრე: ერთი ის, რომელმაც მთავრობას ნდობა გამოუცხადა, ხოლო მეორე ის, რომელსაც დღეს ეს ნდობა უკან მიაქვს. რატომ? შუაში მოხდა ერთი პატარა ამბავი— პირველმა პეტრემ გაიგო, რომ ის თურმე საზღვარ-გარეთ არ მიდის და უცებ გადაიქცა მეორე პეტრეთ. ახლა ამის გამო ის პასუხს თხოვს ჩხეიძეს, ჟორდანიას და მრავალ სხვა პირებს.

დიახ, მას აქვს საბუთი იყოს უკმაყოფილო და თავისი გულისწყრომით აავსოს „კომუნისტი“. საუბედუროთ ამით ის არ დაკმაყოფილდა შეტოპა მისთვის უცხო მატერიაში, პოლიტიკურ აზროვნების სფეროში... თუ უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებდენ, რატომ უპოლიტიკო ქვეყანაში პეტრე არ ყეფდეს! ბოლშევიკებისთვის ყველაფერი მისაღებია, მხოლოდ მათ ჩამქრალ კერას ერთი მუგუზალი კი შეურთონ...

საწყალი პეტრე! იყო—ყოფნას არ ეტყობილობდით. არ არის—არ ყოფნასაც ვერ შევატყობთ. მიირთვან ბოლშევიკებმა. ალბათ, ერთ-ორ თვეს აძახებენ და მერე საკენჭზე დააბამენ. პეტრეც მოისვენებს და ყველაფერს აიტანს. (იხ. „ბრძოლა“, № 1, 1925 წელი).

ა[illegible]: ჩემი პორტრეტი, რომელიც „ბრძოლამ“ სამიოდე წლის წინათ მოათავსა თავის ფურცლებზე.

მე ამ პორტრეტში თავი ვერც მაშინ ვიცანი და ვერც დღესა ვცნობ. მაგრამ თუ მის შესახებ დღემდე ხმა არ [illegible]ილია, ამის მიზეზი, გარდა ზემოთ დასახელებულისა, შემდეგიც იყო. ვფიქრობდი:—„ბრძოლის“ უპასუხმგებლო მოლაყბემ გადაამლაშა. მაგრამ ნოე ჟორდანია შემდეგში მაინც არ მისცემს ნებას მის თანამოკალმეებს პოლემიკის დროს პრინციპიალურ სფეროს გასცილდენ და გაზეთი ცილისწამების გოდრად გადააქციონ მეთქი.

ასე ვფიქრობდი მათ დღეთა შინა, როცა ნ. ჟორდანიას პრინციპიალურობა კიდევ მჯეროდა. მაგრამ გავიდა ერთი წელი, ორი, სამი... და ნ. ჟორდანიამ არა თუ თავისი თანამშრომლების ასეთი „მოღვაწეობა“ არ დაგმო, თვითონაც უკუაგდო პრინციპიალური ბრძოლა და, როგორც წინა წერილში დავინახეთ, წმინდა **პოლიციურ** მეთოდებს მიმართავს ხოლმე მოწინააღმდეგებთან ბრძოლის დროს.

ამის შემდეგ, რა გასაკვირალია, რომ „ბრძოლის“ კალმოსნებიც ცდილობენ არ ჩამორჩენ თავის შეფს და ისინიც ძველებურად განაგრძობინ ტალახში გორაობას. ისინი „ბრძოლის“ უკანასკნელ ნომერშიც იმავე სისაძაგლეს იმეორებენ კერძოთ ჩემს შესახებ და საერთოდ ყველა ახალგზელების შესახებ... და მე იძულებული ვარ აქაც შევასრულო დაპირება და მკითხველს გავაცნო ის სისაძაგლე, რომელსაც ისინი ჩემს შესახებ სწერენ:

„ყარიბი—გელეიშვილი, რომლის სოციალისტური სინიდისი თავისუფლად ეგუება პეტებურგის „ბირჟოვკას“, „პეტერბურგის გრადონაჩალსტვოს ვედომოსტებს“, ხაჩატუროვის „თბილისის ლისტოკს“ და ცნობილ ლევან ყიფიანის სარედაქციო კოლეგიას“. (იხ. „ბრძოლა“, № 25, გვ. 15, ივლისი, 1927 წელი).

როგორც ხედავთ, „ბრძოლის“ გოშიებს მაინც და მაინც დიდი პროგრესი არ ეტყობათ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. იგივე პეტერბურგის „ბირჟოვკა“, იგივე „პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ვედომოსტები“, იგივე ხაჩატუროვი და „თბილისის ლისტოკი“.

მათ მხოლოდ ერთად-ერთი ახალი არგუმენტი შეუძენიათ ამ სამი წლის განმავლობაში. ეს არის ლევან ყიფიანთან თანამშრომლობა.

მე უკვე შევასრულე ძველი რომაელების კანონი, რომელიც გვასწავლის: Audiatur et alterapars,—(მოწინააღმდეგესაც მოუსმინე). მე არა თუ თვითონ მოვუსმინე ჩემს მოწინააღმდეგეებს, მე მათ სრული საშუალება მივეცი ყოველი ის, რაც მათ ამ სამი წლის განმავლობაში პირადათ ჩემს წინააღმდეგ დასწერის, მკითხველ საზოგადოებასაც სიტყვა-სიტყვით მოეასმენიე და გავაცანი.

ახლა კი ვეცდები ისევე სინიდისიერად გავსცე პასუხი ყველა ბრალდებებზე.

საჭიროდ მიმაჩნია წინდაწინვე დავამშვიდო მკითხველი, რომელიც, ალბათ, ფიქრობს, რომ მე, თუმცა ავტო-ბიოგრაფიის წერაზე უარს ვაცხადებ, მაგრამ მაინც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ერთი დაუსრულებელი იწილო-ბიწილო მოვუთხრო მას ჩემი წარსულიდან. ვთქვი და ვიმეორებ, რომ მე ასეთ რამეს არც ეხლა შევუდგები. სხვა რომ არა იყოს რა, ბიოგრაფიებსა და იუბილეებზე ზრუნვა მხოლოდ ისეთ ადამიანებს ესაჭიროებათ, რომლებიც თვითონაც გრძნობენ, რომ „ცხოვრების გზა ვალიეს“, რომლებიც უკვე შესრულებულად გრძნობენ თავის როლს.

მე არა ვგრძნობ არც ერთსა და არც მეორეს. მე, პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ თუ რამე უცაბედმა შემთხვევამ არ მომილო ბოლო, ერთ ათიოდე წელიწადს კიდევ მეყოფა ძალ-ღონე ვსწერო და ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურო, ან „ბრძოლის“ კალმოსნების სიტყვით რომა ვთქვათ: „ვიმყრალოთ“.

მაშასადამე, მკითხველის შიში უსაფუძვლოა.

**ყარიბი.**

# რა სურს ემიგრაციას

2.

## საერთაშორისო კონფლიქტები და ინტერვენცია

საინტერესოა გავიგოთ, თუ რა პირობებში აპირობს ემიგრაცია აჯანყების, „რევოლიუციონერების ამ ერთად ერთი მცნების" (ნ. ჟორდანიას სიტყვებია) გამოყენებას. ამის საკმაო ნათელ პასუხს იძლევა ემიგრანტული პრესა, კერძოთ ნ. ჟორდანიას ბროშიურები.

იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაცია აყენებს აჯანყებას, როგორც: 1) **საგიტაციო იარაღს და 2) როგორც აუცილებელ დამატებით საშუალებას** იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი ჩამოვარდება.

პირველ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს აჯანყების პერსპექტივას, იმას, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება იგი. საჭიროა აურზაური, ახმაურება, თვით ფაქტი ხალხის უკმაყოფილების, მისი აქტიურობისა და შეურიგებლობის დადასტურება.

ასეთი გამოსვლები უფრო და უფრო ამტკიცებს საქართველოს ეროვნულ საქმეს. მას დღე-დღეზე ემატება მოკავშირეები. ვინ არიან ესენი? ნ. ჟორდანიას აზრით დემოკრატიულ საქართველოს ჰყავს სამი მოკავშირე:

1) „პირველი ჩვენი მოკავშირეა რუსეთის საქმეთა მსვლელობა, შიგნით და გარეთ. ის განმარტოებულია. ლოკარნომ მას ჩასცა სასიკვდილო ლახვარი".

2) „მეორე ჩვენი მოკავშირეა მსოფლიო საზოგადო აზრი".

3) „მესამე ჩვენი მოკავშირეა ისტორია".

(იხ. „დამოუკიდებელი საქართველო" № 1, 1926 წ.

შემდეგში „დამოუკიდებელი საქართველო" ამ აზრს უფრო „აღრმავებს", მოკავშირეთა რიცხვი თანდათან იზრდება.

„დამოუკიდებელი საქართველოს" მე-№ 13-ში დაწვრილებით ჩამოთვლილი არიან ეს მოკავშირენი:

1) „საერთაშორისო უფლება" (იგულისხმება საქართველოს ცნობა)„ამერიკა იყო აქამდე გაჩუმებული" ახლა ისიც საქართველოს სასარგებლოთ ამეტყველებულა, რასაც ადასტურებს თურმე ის ფაქტი, რომ იქ გამოუციათ „საქართველოს შესახებ 370-გვერდიანი წიგნი.

2) „საერთაშორისო მორალი".

3) „საერთაშორისო ინტერესი".

„რუსეთი ძლიერი, მოქიშპე შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთში არავისთვის მისაღები არ არის. დღეს საუკეთესო შემთხვევაა ამისი დაქუცმაცებისათვის და ის დაქუცმაცებულიც იქნება. კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, რასაკვირველია, რუსეთს არავინ გააჩერებს".

4) „ტრადიცია".

5) „ისტორია", რომელიც „გვიღიმის. ის სავსებით ჩვენია, მისი გული მოგებული, დატყვევებულია. ჩვენი დამოუკიდებლობა ისტორიის ამბორი, მისი სალამია".

ყველა ეს მოკავშირენი საქართველომ შეიძინა ბრძოლით, რომლის კულმინაციური წერტილი იყო 1924 წლის აჯანყება. ასეთივე ბრძოლა მომავალშიც აუცილებელია, ვინაიდან **„მსოფლიო ოჯახში მხოლოდ მებრძოლი ერი იპატიჟება** (იხ. ნ. ჟორდანია „დამოუკიდებელი საქართველო" № 1).

**„მტერი და მოყვარე დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენს განთავისუფლების სურვილში. ეს სურვილი კი ცხადდება მხოლოდ ბრძოლით, მასის ამოქმედებით** აი ეს სურვილი ჩვენმა ქვეყანამ აჯანყებით გამოხატაო". (იხ. ნ. ჟორდანია „რა მოხდა" გვ. 7) მაშასადამე, ოღონდ ევროპა დარწმუნდეს, რომ ქართველ ერს ბოლშევიკები არ უყვარს და აჯანყება ყოველთვის გამართლებული იქნება, თუნდაც მას უამრავი მსხვერპლი მოჰყვეს! ეს არც ავანტიურა იქნება, ვინაიდან ნ. ჟორდანიას აზრით ავანტიურა თურმე ჰქვია ისეთ აჯანყებას, რომელიც დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ იმართება.

ძაგრამ ვინ დაიჯერებს ასეთ სიბრძნეს?! ყოველი აჯანყება, რომლის გამარჯვებისათვის არ არსებობს არავითარი ობიექტიური პირობები, რომელიც წინასწარ განწირულია, იქნება ავანტიურა რა რეჟიმის დროსაც არ უნდა მოხდეს ის.

ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ არსად და არც ერთ რეჟიმში აჯანყება არ შეიძლება, ვიდრე ჩვენ გამარჯვების სრული გარანტია არ გვექნება. ასე ფიქრი იქნებოდა წმინდა წყლის მეშჩანობა და ფილისტერობა, მაგრამ აჯანყება, რომლის გამარჯვება არავის სწამს და რომელიც იმართება მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგში მტრის წინააღმდეგ იგი საგიტაციოთ გამოიყენო, არის უსასზიზღრესი ავანტიურა და პროვოკაცია, რომლის გამართლება არაფრით არ შეიძლება!..

საქართველო თუნდაც ამოწყდეს, ოღონდ ქვეყანამ გაიგოს, რომ მას საბჭოთა ხელისუფლება არ უყვარს—აი საით მივყევართ ნ. ჟორდანიას ლოღიკას.

რაკი აჯანყება აღიარებულია საგიტაციო საშუალებად, გასაკვირი არ არის, როცა ჩვენ „ბრძოლში" ვკითხულობთ მთელს ლექციას იმის შესახებ, რომ არითმეტიკას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ფაქტი, რომ საქართველო საბჭოთა კავშირთან შედარებით წვეთია ზღვაში—არაფერს ნიშნავსო. „საქართველო პატარაა, რუსეთი დიდი. ნუ თუ ეს საბუთი მართლა საბუთობს?! არითმეტიკული საბუთი ეროვნულ ბრძოლაში ყოვლად უაზრო, გამოუსადეგი და დამღუპველია"-ო. (იხ. „ბრძოლა" № 7).

რა თქმა უნდა ემიგრაციის პრაქტიკოსებმა კარგად იციან, რომ ასეთი ბრძნული რჩევით და ჩვენ მიერ ცოტა ზევით მოყვანილი პოეზიით ისინი შორს ვერ წავლენ, რომ საჭიროა რაიმე უფრო რეალური დასაყრდენი და აი აქ ემიგრაცია აყენებს აჯანყებას, როგორც აუცილებელ დამატებით საშუალებას იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირს იარაღით თავს დაესხმიან და ის ამ გართულებაში წაიბორძიკებს.

ნ. ჟორდანია სწერს: **„საბჭოთა წყობილების დაცემაში მარტო საქართველო რომ იყოს დაინტერესებული, ჩვენი საქმე ყინულზე იქნებოდა დაწერილი და არც ასეთი თამასუქით სოც-დემოკრატია იანგარიშებდა. ნამდვილად კი მის დაცემაში დაინტერესბულია მთელი ქვეყანა, ყველა სახელმწიფო—აი ჩვენი მოკავშირე, აი ჩვენი გამყვანი ფონი"**. (იხ. ნ. ჟორდანია „რა მოხდა" გვ. 21).

ნ. ჟორდანია წინააღმდეგია (?!) ინტერვენციის, ის მხოლოდ მოითხოვს „დახმარებას" ევროპის სახელმწიფოებისაგან.

„ერის განთავისუფლება ხდება ვისიმე დახმარებით; არც ერთი პატარა ერი საკუთარი ძალღონით არ განთავისუფლებულა".

მაშასადამე **„ერის განსათავისუფლებლად საჭიროა ორი მომენტი: ერის ბრძოლა და გარეშე ძალის დახმარება.** (რა მოხდა" გვ. 22—23).

„ეს არის დახმარება და არა ინტერვენციაო", იმეორებს ნ. ჟორდანია (იხ. „ჩვენ და ისინი" გვ. 11—12), „მმართველ წრეებს მიმართავს საქართველოს ნაციონალური მთავრობა და ამ გზაზე ის ბოლომდე იქნებაო" (იქვე გვ. 13).

მაშასადამე, აჯანყების საკითხში ემიგრაციის კონცეპცია ღებულობს ასეთ სახეს: აჯანყება აუცილებელია, ეს საჭიროა აგიტაცია-პროპაგანდის მიზნებისათვის, იგი საჭიროა აგრეთვე ევროპისაგან „დახმარების" მისაღებად და საერთაშორისო კონფლიქტების ჩამოვარდნის დროს.

ეს არის ტაქტიკის დინამიური მხარე, ხოლო მის სტატიკას შეადგენს „ქართველობის შენარჩუნება ანტისაბჭოთა პოზიციაზე". („რა მოხდა" გვ. 23).

**ლეო შენგელაია.**

# დამოუკიდებელი საქართველო და რუსი ემიგრანტები

(დასასრული *)

მარტოვი, რომელმაც ჩვენს 15 შეკითხვაზე, როგორ 1922 წელს ჩვენ შემთხვევა გვქონდა პირადად გვენახა ბერლინში მარტოვი, რომელმაც ჩვენს შეკითხვაზე, როგორ უყურებს იგი საქართვ. დამოუკიდებლობის პრობლემას, გვიპასუხა:—„საქართველოს დამოუკიდებლობა მე არა მწამს; დამოუკიდებლობის სასარგებლოთ არ ლაპარაკობს, თქვენი არც გეოგრაფია და არც ეკონომიკა. რუსეთის ორიენტაციას საქართველო ვერ აშორდება. ამ ორიენტაციას თქვენ არ უნდა გაურბოდეთ.. ეს ხელს შეუწყობს თქვენს ნაციონლურ -ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას. ევროპა მცირე ერებთან მიდის საკოლონიო პოლიტიკის გასატარებლად, თუ მის ასეთ პოლიტიკას შეებრძოლე, ის სულაც არ მოვა და თუ მოვა უეჭველად დაგიმონებს.

ჩემს მეორე შეკითხვაზე: როგორ უყურებს იგი ჩვენი პარტიის, საქართველოს ს.-დემოკრატიის პოზიციას და ტაქტიკას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში,—მან მიპასუხა: „ამ საგანზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ეს საკითხი ჩემთვის კიდევ შეუსწავლელია. ისე, როგორც ვატყობ, ქართველ ამხანაგებთან ბაასის დროს საერთო ნაციონალურ ფრონტს აქვს თავისი დიდი უარყოფითი მხარე. თქვენ, ესე-იგი ქართველი მენშევიკები უერთდებით ყველა იმ კლასებსა და პარტიებს, რომელნიც ისტორიის მიერ განწირული არიან. ამ საერთო ფრონტში თქვენ გათქვეფა მოგელით. ამას ნაციონალისტ. ილიუზიებამდე და რომანტიზმამდე შეუძლია თქვენი მიყვანა. ეს კი ჩრდილავს პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას. მე, რასაკვირველია, სიმპატიით ვუყურებ ქართველი ერის ბრძოლას, მაგრამ საჭიროა მარქსისტული მეთოდებით ბრძოლა და არა ანტი-სოციალისტურ ელემენტებში გათქვეფაო“.

აი, დაახლოებით ის, რაც **მარტოვმა** მაშინ ჩემს შეკითხვებზე მიპასუხა.

1922 წ. მარტოვს არ შეეძლო ამაზე მეტი ეთქვა. მაშინ ქართველი მენშევიკები ევროპაში ახალი ჩასული იყვნენ, მაგრამ, ერთი კი ცხადია: მარტოვი, როგორც ლიდერი რუსეთის მენშევიკებისა, აშკარათ ლაპარაკობს, რომ, ის არ სცნობს დამოუკიდებელ საქართველოს და ამ ცნობის არგუმენტაციაათ მოჰყავს საქართველოს გეოგრაფიული, ისტორიული და ეკონომიური პირობები.

რასაკვირველია, მარტოვის ამ შეხედულებას, არც მაშინ და არც ეხლა ჩვენ არ ვეთანხმებით. აქ მის მსჯელობაში ცხადად გამოსჭვივის თუ გნებავთ სწორედ ეს ველიკორუსული მპყრობელი ერის სულისკვეთება და ტენდენციები, რომლიდანაც საერთოთ არ არის თავისუფალი როგორც რუსი მენშევიკები, ისე კიდევ უფრო რუსი ესერები.

დიალ, რუსეთის დემოკრატიული პარტიები არ სცნობენ და ვერ ურიგდებიან საქართველოს დამოუკიდებლობას. აქ რამიშვილის პარტია, ალბათ, შემოგვედავება. გვეტყვის: — პ. აქსელროდმა ხომ იცნა ჩვენი დამოუკიდებლობაო... მართალია, იცნო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მის ცნობას, როდესაც რუსეთის მენშევიზმის ლიდერები: **მარტოვი, აბრამოვიჩი, დანი** და სხვები არ სცნობენ თვით პ. აქსელროდს. ესერებს ხომ გაგონებაც არ სურს დამოუკიდებელ საქართველოზე. საჯაროთ წაკითხულ ლექციაში რუსულ საკითხზე ესერების ლიდერმა ჩერნოვმა განაცხადა:—„თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ტენდენცია ფოლადის ჯაჭვებით აკავშირებს სხვადასხვა ერებს და სახელმწიფოებს. ეკონომიური ცენტრალიზაცია იწვევს პოლიტიკურ შეჯგუფებასაც. პატარა ერები ეკონომიკის და სულიერი კულტურის სფეროში თავისუფალ შეჯიბრების ნიადაგზე საბოლოვო ანგარიშით ითქვიფებიან მძლავრ და დიდ ერებში, და ამ ობიექტიურ მსვლელობას სოციალისტებმა ხელი არ უნდა შეუშალონ. სომხეთმა და საქართველომ ერთმანეთს ხმლით დაერიან. აზერბეიჯანიც ამ კონცერტში ჩაერია და დაუწყეს ერთმანეთს ხოცვა-ჟლეტვა და მანამ ინგლისელები არ ჩაერია ამ საქმეში, სისხლის ღვრა არ შეჩერებულაო. აქედან ჩერნოვმა დაასკვნა: ამიერ-კავკასიაში უნდა არსებობდეს მესამე ელემენტი, რომელიც შესძლებს ადგილობრივ მკვიდრთა მორიგებასა და დამშვიდებასო. და რაკი ეს მესამე ძალა საჭიროა, ეს ძალა რუსეთი უნდა იყოს, რადგანაც მან ეს უფლება ისტორიულად მოიპოვაო“...

ერთ-ერთი ცნობილი ესერი **ლაზარევი** ჩერნოვის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს პირდაპირ აცხადებს: „დადგება დრო და საქართველო, აზერბეიჯანი და სხვა დამოუკიდებლობის მოტრფიალე ერები დაჩოქილი ითხოვს რუსეთის სულგრძელობასო“.

აი, რა ენაზე ლაპარაკობენ ემიგრანტი მენშევიკები და ესერები!

და თუ ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული ემიგრანტები დღეს ასეთ გუნებაზე არიან, რა იქნება მაშინ, რომ ამ ხალხმა მართლაც ჩაიგდონ ხელში პოლიტიკური ძალაუფლება?

ჩერნოვის მიერ ვულგარულად გაგებულ ეკონომიურ მატერიალიზმზე აგებული შეხედულება, რაღაც იმაში მდგომარეობს, რომ პატარა ერები ობიექტიურად უნდა გაითქვიფონ დიდ ერებშიო, კიდევ შეიძლება შეურიგდეს კაცი, მაგრამ რას ნიშნავს ჩერნოვის განცხადება: „ამიერ-კავკასიაში და საქართველოში რუსეთის ისტორიულ უფლებაზე?“

მართალი მოგახსენოთ, ჩვენ გვეგონა, რომ ჩერნოვი თავის საბოლოო სიტყვაში უარს ყოფდა ლაზარევის წმინდა ხულიგანურ განცხადებას ქართველ ხალხის რუსების წინაშე მუხლებზე დაჩოქების შესახებ. მაგრამ ეს მან არ ინება და შით თავისი ლექცია, (რომელიც მან პრაღაში წაიკითხა) ლაზარევის ამ შავრაზმულ სიტყვებით შეავსო...

აქედან აშკარაა, რომ რუსი ესერები და ესდეკები არ სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას. თუ ასეთი განწყობილებაში არიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან რუსი სოციალისტები, ქართველი მენშევიზმის მოძმე პარტიები, წევრნი მეორე ინტერნაციონალისა,—როგორ დამოკიდებულებაში იქნებიან ამ საკითხთან სხვა ჯგუფები ე. წ. რუსეთის დემოკრატიულ პარტიებიდან?

აქ მაგონდება პავლე მილიუკოვის ლექცია, რომელიც მან პრაღაში წაიკითხა. სათაურით: „რუსეთის მომავალი წესწყობილება და მასში შემავალი ერების საკითხი“. ამ ლექციაში ლექტორმა აშკარად განაცხადა: „ჩვენ, უმჯობესია ეხლავე შევთანხმდეთ ამ საკითხში. ჩვენ ერებს მივცემთ ავტონომიურ მმართველობას. თუ შეთანხმება არ მოხდება, რუსეთში ამ საკითხს გადაჭრის თეთრი გენერალი თავისი ხმლითო“.

მილიუკოვის ამ ლექციას ბლომათ დაესწრენ უკრაინელები, სომხები და ქართველები და სწორეთ, ამ ხალხის გასაგონათ სთქვა მან ეს სიტყვები...

და როდესაც ამას ლაპარაკობს დემოკრატი მილიუკოვი, როცა ის ასე ემუქრება მცირე ერებს, ყოვლად უნიადაგო ემიგრანტი მილიუკოვი, რაღას იტყვის იგი მაშინ, რომ მართლაც უკუღმა დაბრუნდეს ისტორია და ის ხელახლა გახდეს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი? რა თქმა უნდა, იტყვის და იქმს იმას. რასაც ამბობდა და აკეთებდა კოალიციონურ მთავრობაში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. პოლიტიკური მონობის უღელს დაადგამს კისერზე პატარა ერებს და რამოდენიმე მილიონ ხალხს

---

იხ. „ახალი გზა“ № 37.

მიაყლევს კონსტანტინოპოლის რუსეთთან შემოერთების პრობლემას. მილიუკოვზე მარჯვნივ მდგომ რუსეთის პოლიტიკურ წრეებზე, ლაპარაკიც მეტია. მათთვის საქართველო ისევ ისე დარჩება ძველებურად, როგორც რუსეთის პროვინცია, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის და სოხუმის ოლქები.

საქართველოს დამოუკიდებლობას, მის განმტკიცებას და მის აყვავებას, მხარს დაუჭერს, თავის ძალ-ღონით დაიცავს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატი, და მისი მებაირაღტრე კომუნისტური პარტია.

რომ ეს ასეა, ამას დღეს ყველა ხედავს. ის უფლებრივი გარანტიები საბჭოთა კავშირისა, ეს ძირითადი კანონმდებლობა, რაიც ქვაკუთხედია საბჭოთა წესწყობილებისა, შესაძლებლობას ანიჭებს ყველა ერებს განავითარონ თავისი პოტენციალური ძალები. აქ გამონაკლისი არავისათვის არ არსებობს. სრულიად მართალი ბრძანდება ნ. ჟორდანია, როცა ამბობს, რომ ბოლშევიკებმა არა თუ კულტურულ ერებს მისცეს მაქსიმუმი წარმატება—განვითარებისა, ისტორიის ავანსცენაზე გამოიყვანეს ისეთი ერები, როგორიც ბურიატებია.

რა ვუყოთ, რომ ჟორდანია ამასვე არა სცნობს საქართველოს შესახებაც. ეს ადვილი გასაგებია: ქართულ მენშევიზმის ბელადს თავისი პარტიის დანგრევა და განადგურება მთელ საქართველოს დანგრევათ და განადგურებათ წარმოუდგენია. ამიტომ სრულიად გასაგებია ნ. ჟორდანიას მიერ აზრის ასეთი არევ-დარევა. მის მიერ ორი სხვადასხვა სოციალური ცნების— მენშევიკური პარტიის და ქართველი ერის სინონიმათ გამოყენება სწორედ ის შემცდარი და მოლიპული გზაა, რომელზეც ყოველთვის იდგნენ, ქართველი მენშევიკები, როგორც გასულში, ისე დღეს; როცა ისინი გაერთიანებული არიან ყველა სხვა ბოლიტიკურ პარტიებში. ერთი სიტყვით, ყველა ფრონტებზე დამარცხებული ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ პირადი გამცდებით ზომავენ ქართველი ერის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, და ეს მაშინ, როცა ბრმებიც კი ხედავენ, რომ ქართველ ერს არას დროს არ ჰქონებია ისეთი პირობები თავის ნაციონალური, მატერიალური და სულიერი ძალების განვითარებისა, როგორც დღეს აქვს. ეს დღეს სავსებით შეგნებული აქვს ქართველ ხალხს, მის მშრომელ მოსახლეობის 99 პროც., მაგრამ ეს არ ესმის იმ ჯგუფებს და პირველყოვლისა ემიგრანტებს, რომელთაც დაკარგეს თავის პარტიული და კლასობრივი უპირატესობა და ამის გამო ოპოზიციონურად არიან განწყობილი კომუნისტურ ხელისუფლებასთან.

ამაშია ქართველი მენშევიზმის ძირითადი შეცდომა, აი, ამაშია მისი დანაშაულობა ქართველი ერისადმი. მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცნოს ის სინამდვილე, ის რეალური ეროვნული ინტერესი, რითაც სულდგმულობს მშრომელი საქართველო და თავი უნდა გაანებოს უთავბოლო ყვირილს: ქართველები, როგორც ერი გაანადგურესო.

არა, და ათასჯერ არა! მართალია, განადგურდა საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიები და ჯგუფები და არა ერი! სრულიად პირიქით: ქართველი ერი დღეს უძლიერესი ინტესივებოთი მუშაობს თავისი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გასამაგრებლად. და ეს ხდება იმიტომ, რომ ქართველი ერის ბედ-იღბალს დღეს განაგებს საქართველოს პროლეტარიატი და მისი ბელადი კომუნისტური პარტია.

**ალ. ხელაძე.**

# პოლიტიკური მიმოხილვა

**1. მორიგი გამარჯვება, 2. რეაქციონერების მანევრი, 3. ერთა ლიგის ყოფილი მოციქულები, 4. ორი ოქტომბერი გერმანიაში..**

3 ოქტომბერს სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულია თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტიები და ფართო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

ამ ხელშეკრულების დადება, რომლის გარშემო დიდი ხანია სწარმოებს მოლაპარაკება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, დიდი აქტია პოლიტიკური, ეკონომიური და კომერციული მნიშვნელობით როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე სპარსეთისათვის. დადებული ხელშეკრულება დიდათ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის და მცირე აღმოსავლეთის ბაზრების დაახლოებას, ვაჭრობას და განვითარებას და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. ხელშეკრულება დიდი გამარჯვებაა და სასარგებლო ორივე ქვეყნისათვის.

მაგრამ ამ ხელშეკრულების დადება არაა ხელსაყრელი ბრიტანეთის შუბლმაგართა მთავრობისათვის, რადგან ამით ხელი შეეშლებათ, მათ თავისი აგრესიული პოლიტიკური და ეკონომიური გეგმების განხორციელებაში მცირე აღმოსავლეთში, რადგან ამით შეირყევა მათი პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონია აღმოსავლეთის ხალხებზე. მათი ექსპლოატაციის მონოპოლიური მდგომარეობა.

ამიტომაა, რომ ისინი ბევრს მუშაობდენ და მუშაობენ ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1924 წ. იყო დადებული ანალოგიური ხელშეკრულება სპარსეთსა და საბჭოთა კავშ. შორის, მაგრამ ინგლისის მთავრობამ, სხვადასხვა ინტრიგების საშუალებით, როგორც მაგალითად, გეზალის შეიხის აჯანყების მოწყობა და სხვა, მოახერხა ხელშეკრულების რატიფიკაციის მოხსნა. ისინი ეხლაც ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ ხელშეკრულების განმტკიცებას და ქმნიან ახალ ინტრიგებს და კონფლიქტებს. ინგლისის ავაზაკური ხელი მოქმედებდა რამოდენიმე თვის წინად მომხდარ კონფლიქტში ირაქსა და სპარსეთს შორის, ინგლისის ავაზაკური ხელი ურევია იმ ინციდენტში, რომელსაც ჰქონდა ადგილი ამ დღეებში ოსმალეთ-სპარსეთს შორის. ინგლისის კონსერვატორები არაფერს დაერიდებიან და ყოველგვარ საშუალებას იხმარებენ, რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის დაახლოვებას, რათა აიცილონ ის დაბრკოლებები. რომლებიც იქმნება ამით მის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, აღმოსავლეთს თვალსაჩინო როლს აკისრებს ინგლისი მომავალი ომების და, კერძოთ საბჭოთა კავშ. საწინააღმდეგო ომის საქმეში. ბრიტანეთის კონსერვატორებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მათ უნდა გამოიყენონ არა მარტო დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოები: პოლონეთი, რუმინეთი და ბალტიის ლიმიტროფები, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიც. ამას საჯაროთ აცხადებს „დეილი ტელეგრაფი“: „ახლო აღმოსავლეთი უნდა იქნეს ღერძი მომავალი ომების სისტემაში“-ო.

ინგლისის მთავრობის განსაკუთრებული სიაქტივე ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნაში იმით აიხსნება, რომ აღმოსავლეთის რევოლიუციონური და ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომინტერნი და კომუნისტური ორგანიზაციები, უმთავრესად ემუქრება მის კოლონიალურ პოლიტიკას და ბატონობას ამ ქვეყნებში. ბრიტანეთის მოუთმენლობა საბჭოთა კავშირის მიმართ იმდენად გაიზარდა უკანასკნელ ხანებში, რომ ბოლდუინი ასეთ განცხადებასაც კი აკეთებს: „1928 წ. იქნება გადამწყვეტი წელი ბოლშევიზმთან ბრძოლაში“-ო.

ასეთ მომენტში სპარსეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოება, რა თქმა უნდა, არ მოეწონება ბრიტანეთის მთავრობას და ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუშალოს დადებული ხელშეკრულების დამტკიცებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხელშეკრულება დიდი გამარჯვებაა ორივე ქვეყნისათვის.

რეაქციონერები ახმაურდენ. საზოგადოებრივ აზრს გამოცდას უკეთებენ შოვინისტური „პატრიოტული" სიტყვებით ახალი ომების დასაწყებათ.

ის საომარი განწყობილება და წინააღმდეგობები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მათ დაფარეს ებლახან დასრულებულ ერთა ლიგის 8 სესიაზე, მესამე კომისიის მიერ მიღებულ კომბინაციურ რეზოლიუციაში, უკვე გამომჟღავნდა რეაქციის შეფების—ჰინდენბურგ-პუანკარე-ჟასპარის სადემონსტრაციო სიტყვებში. ჰინდენბურგ-ვესტარპას განცხადება ტანენბერგში „გერმანია ვერ იტყვის უარს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მან დაჰკარგა ომის შედეგათო" აშკარა მოწოდება და საომრათ გამოწვევაა საფრანგეთის. მათ არც პუანკარე ჩამორჩა პასუხის გაცემაში. მან კიდევ უფრო მეტი გაბედულობით უპასუხა: „გერმანიას არ შეუძლია რეაბილ... ..ა უყოს ვილგელმის ინიციატივით დაწყებულ ომს და ყოველი ცდა აქეთ მიმართული გაგებული იქნება ომის გამოცხადებათ და ვალდებული ვართ გავითვალისწინოთ ახალი თავდასხმის შესაძლებლობაო". ანსაბლი, რომ არ დარღვეულიყო ბელგიის პრემიერი ჟასპარიც გამოეხმაურა რეაქციონერების კონცერტს და სოლიდარობა განუცხადა საფრანგეთს გერმანიის წინააღმდეგ.

ჰინდენბურგი ვერ ახერხებს შეურიგდეს ვერსალის ზავს, რომელმაც წაართვა გერმანიას ელზას-ლოთრინგი, ზემო სილეზია, შეუქმნა დანციგის კორიდორი და საშინელი რეპარაციის უღელი დაადგა მას. გერმანიის რეაქციონერებს არ შეუძლიათ შეურიგდენ საფრანგეთს, რომელმაც ოკუპაცია უყო რეინის და საარის ოლქებს, რომელმაც თავისი კონტროლის ქვეშ დააყენა გერმანიის ეკონომიკა და პოლიტიკა. ამიტომ გერმანიის რეაქციონერებმა დაივიწყეს ლოკარნოს პაციფისტური ყალბი შემრიგებელი კილო და ისევ წამოაყენეს რევანშის იდეა.

საფრანგეთის მმართველი წრეები, რომლებიც კაცობრიობას არწმუნებდენ, რომ ისინი არიან ხალხთა შორის მშვიდობიანობის მოციქულნი, რომ მათმა „ცივილიზაციამ" უნდა იხსნას ქვეყანა გაჭირვებისაგან და დაამყაროს სათნოება, ეხლა სხვაგვარად ალაპარაკდენ. მილიერანის ორგანო უკვე დარწმუნებითი კილოთი ამბობს: „გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა დამარცხდა... და ეს კატასტროფიული პოლიტიკა უნდა შეიცვალოს უფრო, გონიერითო".

აქედან ცხადია, თუ რამდენად ძნელია ინგლისის შუბლმაგართა გეგმის,—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის,—განხორციელება. რადგან ეს მოითხოვს საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას. ეს შეთანხმება კი შეუძლებელია, თუ პარიზი არ წავიდა დათმობაზე ბერლინის წინაშე, რაც გულისხმობს ვერსალის ზავის გადასინჯვას, რაზედაც საფრანგეთის რეაქციონერები არ დასთანხმდებიან, ხოლო გერმანიის რეაქციონერები ისევ ოცნებობენ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებაზე.

საფრანგეთ-გერმანიის რეაქციონერები ახმაურდენ, გამოამჟღავნეს დაფარული ზრახვები და საომრათ ემზადებიან. მაგრამ მათ იციან ისიც, რომ ამ გეგმების სისრულეში მოყვანა არც ისე ადვილია, სანამ არსებობს საბჭოთა კავშირი, სანამ არსებობენ რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი კომუნისტური ორგანიზაციები. ამიტომ პირველ რიგში ამ დაბრკოლებების ასაცილებლად ემზადებიან ისინი, ამ ფრონტზე აწარმოებენ ბრძოლას. არ არის შემთხვევითი ხასიათის რეაქციის მიერ დაწყებული შემოტევა ყველა ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. თუ ისინი მოახერხებენ ამ კამპანიის გამარჯვებით დასრულებას,—რევოლიუციონური ორგანიზაციების ლიკვიდაციას და საბჭოთა ხელისუფლების დაცემას,—მაშინ, რა თქმა უნდა, მომზადებული იქნება ნიადაგი, მათი მილიტარისტული გეგმების განსახორციელებლად, ომებისა და სისხლის ღვრის დასაწყებათ.

ეს მარტივი დებულებები ყველამ უნდა იცოდეს და ჩვენი ვალია გავამხნევოთ საერთაშორისო მუშათა კლასი რეაქციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, მზათ ვიყოთ თავის დასაცავად რეაქციის შემოტევის დროს.

ერთა ლიგაში გაბატონებული ავაზაკური პოლიტიკა და სიყალბე ვერ აიტანეს ბურჟუაზიის ერთგულმა რწმუნებულებმაც. საფრანგეთ-ინგლისის წარმომადგენლებმა—ანრი დე-ჟუვენელმა და ლორდ სესილმა ვერ მოითმინეს, რომ თავის წრეში მაინც არ ეთქვათ, თუ რამდენათაა დაცემული ერთა ლიგის ავტორიტეტი და უფლება, თუ რამდენათ უმიზნოა ეხლანდელი მისი ნომინალური არსებობა, როდესაც მას აღარავინ არ უწევს ანგარიშს, აღარავინ არ ემორჩილება.

---

ერთა ლიგის უფლებების დამცველის როლში მათი გამოსვლა, როდესაც ისინი განსაკუთრებული დავალებების გასატარებლად იყვენ იქ წარგზავნილი, არ მოეწონათ პუანკარე-ჩემბერლენებს და ორივე ექზემპლიარი განთავისუფლებულ იქნენ ამ საპატიო თანამდებობიდან.

განთავისუფლების შემდეგ უფრო მეტი დრო და საშუალება მიეცა მათ, რომ უფრო ობიექტიურათ შეისწავლონ და შეაფასონ ერთა ლიგის პრინციპები და საქმიანობა.

ანრი დე-ჟუვენელი კიდეც შესდგომია ამ მოსაწყენ საქმეს და მიწერ-მოწერას აწარმოებს ერთ ბედში მყოფ კოლეგასთან—ლორდ სესილთან. სადაც ამბობს: „უმეტესობა ხალხებისა ერთა ლიგაზე ამყარებენ იმედებს და უმეტესობა მთავრობებისა არ ენდობიან მას. ერთა ლიგაში საკითხების გადაწყვეტის შეუძლებლობის პასუხისმგებლობა აწვება ინგლისის მთავრობას, რადგან ის არის ამის მიზეზიო".

ამ მიწერ-მოწერით დე-ჟუვენელი ცდილობს გაამართლოს მარცხით დასრულებული მათი პოზიცია ერთა ლიგაში და დაარწმუნოს საზოგადოებრივი აზრი თავის ერთგულებაში მშვიდობიანობისა და საკაცობრიო იდეალების მიმართ. მას უნდა დაამტკიცოს, რომ ერთა ლიგაზე დიდ იმედებს ამყარებს კაცობრიობა, რომ ამ დაწესებულებას ფართო პერსპექტივები ეშლება საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად არბიტრის როლის შესრულებაში, თუ ის არ გახდება ობიექტი მასში წარმოდგენილი ძლიერი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის და გავლენის უმთავრესად ინგლისის.

ასეთი ახსნა-განმარტების შემდეგ, პუანკარეს მიერ უფლება ახდილი ლიგის ყოფილი წევრი ბ. დე-ჟუვენელი ურჩევს თავის კოლეგას, რომ განაგრძონ ერთა ლიგაში დაწყებული ბრძოლა საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, რათა დაიხსნან ეს დაწესებულება იმ კრიზისისაგან, რომელსაც განიცდის ის პუანკარე-ჩემბერლენების მილიტარისტული პოლიტიკის წყალობით. ის ამბობს: „ჩვენ თუ დავიპყრობთ საზოგადოებრივ აზრს, შეგვიძლია დავიხსნათ ერთა ლიგა დღევანდელი კრიზისისაგანო".

ღირსება ახდილი ბურჟუაზიულ პაციფიზმის იდეოლოგები, ლიბერალური ფრაზეოლოგიით ფიქრობენ მშრომელი ხალხის შეცდომაში შეყვანას და ამ ავაზაკური დაწესებულების კრიზისისაგან დახსნას, მისი პრესტიჟის აწევას. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ მშრომელი ხალხი არასოდეს არ მოელოდა, რომ ერთა ლიგა შესძლებდა საკაცობრიო საკითხების გადაწყვეტას.

ამ საკითხების გადაწყვეტას მუშათა კლასი მოახერხებს მაშინ, როდესაც ის განთავისუფლდება ამ სხვადასხვა ფერის ავაზაკების მზრუნველობისაგან.

სამწუხაროდ, მათ კეთილ რჩევას რატომღაც არ ღებულობენ პუანკარე-ჩემბერლენებიც და ამით ჭეშმარიტად, უნუგეშოა მდგომარეობა ერთა ლიგის ყოფილი მოციქულების.

—:—

გერმანიის რეაქციონერები დიდი ზეიმით შეხვდენ პრეზიდენტ ჰინდენბურგის დაბადების 80 წ. თავს.

ფაშისტურ ორგანიზაციებს არაფერი დაუზოგავთ რომ რაც შეიძლებოდა მეტი ეფექტით ჩაეტარებიათ „ფო-

ლადის მუზარადის“ საპატიო წევრის ჰინდენბურგის საპატივცემულო დღესასწაული.

ორი ოქტომბერი მათ უნდოდათ გამოეყენებიათ მონარქიის რესტავრაციის იდეის დემონსტრაციად საზოგადოების წინაშე.

გერმანიის მუშათა კლასმა კომპარტიის ხელმძღვანელობით ადრიანად შეუდგა კონტრ-დემონსტრაციების ჩატარების გეგმის შედგენას. მთლიანი ფრონტის შესაქმნელად მათ მიმართეს სოც.-დემ. ორგანიზაციებს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უარი მიიღეს, რადგან სოც.-დემ. ხელმძღვანელებს ძლიერ არ ეხერხებათ ჰინდენბურგის გაჯავრება, რეაქციასთან კონფლიქტის შექმნა. პირიქით ისინი შეეცადენ რომ ხელი შეეშალათ მუშების დემონსტრაციისათვის, ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა სოც.-დემ. ცერგიბელმა ოფიციალურად აკრძალა მუშათა დემონსტრაციები და გააძლიერა პოლიციელთა რაზმი „წესრიგის“ დასაცავად.

გერმანიის სოც.-დემ. ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა თავისი ერთგულება და ლოიალობა.

მიუხედავათ ასეთი მკაცრი ზომებისა და, მიუხედავათ სოც.-დემ. ღალატისა, მუშათა მასებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით მაინც ჩაატარეს დემონსტრაციები დახურულ კარებში. მუშათა უბნებში მაინც შეუპოვრად ფრიალებდენ წითელი, რევოლიუციონური დროშები და ისმოდა ინტერნაციონალის განუწყვეტელი სიმღერა.

ჰინდენბურგმა დიდი მადლობა გადაუხადა ფაშისტურ ოფიცრობას „თავის წყალობით“, სოც.-დემ. უსათუოდ მონაწილეა ამ წყალობის, ხოლო მუშათა კლასს კომპარტიის ცეკას პროცესით უპასუხეს 4 ოქტომბერს, მაგრამ კომ. პარტია აქაც მტკიცედ შეხვდა ბურჟუაზიულ სასამართლოს და იძულებული გახდენ, რომ პროცესი გადაედოთ სხვა დროისათვის.

გერმანიის ბურჟუაზიას ძლიერ გაუჭირდება კომპარტიის ხელმძღვანელობით შექმნილი რევოლიუციონური რიგების დაშლა, მას აღარ შეუძლია იმ დროშის დახრა, რომლის ქვეშ ასი ათასობით რევოლიუციონური მუშები არიან შემოკრებილნი. ამას ამტკიცებს მუშათა კლასის სიმტკიცე 2 ოქტომბრის და წარსულ დემონსტრაციების ჩატარების დროს.

**კ. ჭეიშვილი.**

# მომჭირნეობაც ასეთი უნდა

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი დოკუმენტი, რომელსაც აქვე მოვიყვანთ და რომელიც აშკარად ამტკიცებს, რომ იმ დაწესებულებაში, რომელსაც იგი შეეხება, ყოველიფერი რიგზე ვერ არის და ძალიან კარგს ინებებდა მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომ იქ ხშირ-ხშირად შეიხედავდეს....

ეს დაწესებულება გახლავთ საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა, რომლის შესახებაც ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ხშირად შეხვდებით ხოლმე შენიშვნებს და მოზრდილ სტატიებსაც ჩვენს პრესაში. ყველა ავტორები ერთხმად უჩვენებენ ამ დაწესებულების გვარიან მოზრდილ დეფექტებს, მაგრამ, ეტყობა, ამაზე ეს დაწესებულება ძალიანაც არ იცხელებს თავს და არ ფიქრობს ანგარიში გაუწიოს პრესას. ამ შენიშვნით ჩვენც ვეცდებით ამ დაწესებულების პატივცემულ ხელმძღვანელებს მივუთითოთ ერთ-ერთ ისეთ გარმოებაზე, რომელიც მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საგრძნობ მატერიალურ ზიანს აყენებს და რაც დაუყონებლივ უნდა გასწორებული იქნეს.

და თუ დაწესებულების ხელმძღვანელებისთვის ჩვენი შენიშვნა უდაბნოსა შინა მღაღადებლის ხმად დარჩება, ჩვენ იმედი გვაქვს, მას ანგარიშს გაუწევს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც შეადგენს ჩვენი სახელმწიფოს თვალებსა და ყურებს.

აი ჩვენი დოკუმენტი სიტყვა-სიტყვით:

„საპროკატო განყოფილება სახელმწიფო კინო-მრეწველობისა საქართველოში. 13 სექტემბერი 1927 წ.

ცირკულიარი, № 2361.

„ამის მიღებისთანავე, არა უგვიანეს 30 სექტემბრისა, ყოველი მიზეზის გარეშე გამოგზავნეთ თბილისში საპროკატო განყოფილებაში გამოსაცდელად თქვენი მექანიკი და აპარატი. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული დროს განმავლობაში ეს ცირკულიარი ასრულებული არ იქნება, ესე—იგი მექანიკი და აპარატი გამოგზავნილი აღარ იქნება, ჩვენ იძულებული ვიქნებით შეგიწყვიტოთ სურათების გამოგზავნა.

საპროკატო განყოფილების გამგე—**ნადარეიშვილი.**

მისი მოადგილე—**პეტროსიანი**“.

ასეთია ჩვენი პატარა და პირველ შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დოკუმენტი. მართლაც ღირს ყურადღების მიქცევა და გაზეთებში წერა ასეთ უმნიშვნელო რამეზე? მაგრამ თუ მოთმინებით აღიჭურვებით და საქმეს გულ-დასმით ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ თავისთავად ეს პატარა საქმე ერთობ ძვირად უჯდება სახელმწიფოს.

აბა მოგვისმინეთ.

კინო-თეატრები, რომლებსაც ასეთი ცირკულიარები დაურიგეს, ორასამდე ითვლება საქართველოში. კინო-თეატრი დღეს ჩვენ გვქავს არა თუ დაბა-ქალაქებში, დიდ სოფლებშიც—კი.

და აი ასეთი თეატრი სადმე სვანეთში ან ლეჩხუმში, რომლებიც ცენტრებიდან ერთობ დაშორებული არიან, იღებს ბრძანებას: თქვენი მექანიკი და აპარატი თბილისში დაუყონებლივ გამოგზავნეო.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრი რამდენიმე ხნით უნდა დაკეტონ. დაუდონ ურემს კინო-აპარატი, წინ გამოუგზავნონ მისი მექანიკი და რკინისგზის რომელიმე სადგურისაკენ გამოუშვან. აქედან კი მექანიკი თავისი აპარატით ჩამოვა თბილისში, სადაც ორიეს გასინჯავენ და შემდეგ უკან დააბრუნებენ. ამას ერთი სამი კვირა ხომ მაინც მოუნდება? მთელი ამ დროს განმავლობაში დაკეტილი თეატრი ზარალობს მატერიალურად. მაგრამ ესეც ცოტაა: თუ კინო-თეატრს ცენტრი რაიმე კულტურულ მნიშვნელობას აძლევს, ის დაგვეთანხმება, რომ მისი ასეთი განკარგულება კულტურულადაც ზარალს აყენებს ხალხს.

მაგრამ საქმე არც ამით თავდება:. ამ აპარატების გაგზავნ-გამოგზავნას ხომ ფულები უნდა? მექანიკის მისვლა-მოსვლა და ასე ხანგრძლივი მოცდენა ხომ ფული ღირს? გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საშუალოთ თითო კინო-აპარატისა და მისი მექანიკის გაგზავნ-გამოგზავნა, გარდა იმ კულტურულ და თეატრის დაკეტვით გამოწვეული მატერიალური ზარალისა, საშუალო რიცხვით თხუთმეტი თუმანი მაინც დაუჯდება სახელმწიფოს. ეს კი, თუ რესპუბლიკაში 200 კინო-თეატრს ვიანგარიშებთ, შეადგენს ერთობ მნიშვნელოვან ჯამს, 30.000 მანეთს.

ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ასეთი ხარჯები?

ნება გვიბოძეთ, ფაქტს თავისი შესაფერი სახელი ვუწოდოთ. ეს გამოიწვია კინო-მრეწველობის ხელმძღვანელების მიერ მათი დიდი მოვალეობისადმი დაუდევრობამ, სახელმწიფო ინტერესებისადმი უყურადღებობამ.

აქ გადაჭარბებული არაფერია, თუ კინოს ხელმძღვანელებს მეტი მუყაითობა გამოეჩინათ, ისინი, მის მაგიერად, რომ ორასი კაცი და ორასი აპარატი თბილისში გამოეწვიათ, ორ-სამს ინსტრუქტორს გააგზავნიდენ პრო-

ვინციებში, ეს ინსტრუქტორები სულ ორ-სამ თვეში მოახდენდენ საჭირო გამოცდას, როგორც კინო-აპარატებისა, ისე მათი მექანიკებისას. მორჩა და გათავდა. არც ადგილებში თეატრების დახურვა დაჭირდებოდათ, არც აპარატებისა და მექანიკების თბილისში ჩამოსვლით გამოწვეული ხარჯების გაღება.

ეს ორი სამი ინსტრუქტორი დიდი, დიდი სახელმწიფოს დაუჯდებოდა არა უმეტეს ათასი მანეთისა და სახელმწიფოს გადაურჩებოდა 29.000 მანეთი.

ასე მოიქცეოდა ყველა, ვისაც საქმე აინტერესებს, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ასე მოიქცეოდენ ჩვენი კინო-მრეწველობის ხელმძღვანელებიც, რომ ეს საქმე მათი საკუთარი საქმე ყოფილიყო.

ამ შემთხვევაში კი ისინი, ასე არ მოქცეულან და სახელმწიფოსათვის დიდი ზარალი მიუყენებიათ.

რატომ?

ამის პასუხს, ალბათ, მუშათა და გლეხთა ინსპექცია ეტყვის მუშებსა და გლეხებს.

**პროლეტარი.**

# ხმა სვანეთიდან

მრავალი ისტორიული მოვლენები, მჭერმეტყველურად ღაღადებენ, რომ მთელი რუსეთის ტერიტორიის სივრცეზე არ ყოფილა თავისუფლებისათვის ისეთი თავგადადებული მებრძოლი ხალხი, როგორც სვანები. სვანეთის ერთ ნაწილის სახელწოდება: „თავისუფალი სვანეთი", ცხადჰყოფს ამ აზრის, სიმართლეს. „თავისუფალი სვანეთი" გარშემორტყმული იყო ისეთი ქვეყნებით, სადაც საშინელი ბატონყმური წეს-წყობილება მძინვარებდა. ამ ქვეყნების მადაგახსნილი ფეოდალები მუდამ ლამობდენ სვანეთის დაპყრობას. მაგრამ თავისუფლების სადარაჯოზე ბრძოლაში გულგაფოლადებული, თავისუფლების ფანატიკოსი სვანები მტერს ყოველთვის თავისი ბასრი მახვილით უპობდენ მკერდს, ამარცხებდენ, და ამიტომაც ჩვენ დრომდე განაგრძობდენ არსებობას, ისე, რომ ბატონყმობის მწარე მუხრუჭი და მძიმე უღელი არ უგემებიათ.

სრულიად ბუნებრივად ეს თავისუფლებისათვის თავდადებული, ბრძოლაში გამობრძმედილი ხალხი პირველ დღეებშივე უნდა ამოსდგომოდენ გვერდში, იმ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც წილად ხვდა რუსეთის დიდი რევოლიუციის მესაჭეობა. ოქტომბრის მონაპოვ თავისუფლების ცხოვრებაში განმტკიცება, ჯოჯოხეთის ნანგრევებზე ბრწყინვალე მომავლის შექმნა, მაგრამ თუ გასაბჭოების პირველ ხანებში ბურუსში გახვეულ, ქვეყნიერებას მოწყვეტილ, პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებულ ხალხში ადგილი ჰქონდა რაიმე არა სასურველ მოვლენებს ეს იყო ნაყოფი გაუგებრობა გამოურკვევლობისა და მიზან შეუწონელი ტაქტიკითა და მიდგომით მუშაობის წარმოებისა პირველ ხანებში.

როგორც ვიცით 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის ანკესზე სვანეთიც წამოეგო. მაგრამ ნათქვამია: „ერთი ჭირი მარგებელიაო". და სვანეთს ამ დიდმა უბედურებამ ერთი სარგებლობა მოუტანა—ეს სარგებლობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამის შემდეგ პოლიტიკურად ხალხი განიკურნა, გამოფხიზლდა, მან კარგად დაინახა ქართველ ემიგრაციის ლიდერების პოლიტიკის დამღუპველი მნიშვნელობა. ამ გარემოებამ კერძოთ სვანეთში და, ვფიქრობ, მთელს საქართველოში დიდი პოლიტიკური გარდატეხა და ფსიქოლოგიური გადატრიალება მოახდინა, ამიერიდან მენშევიკებს [illegible] თხრილ ორმოში თვითვე დაიმარხეს თავი.

აგვისტოს ავანტიურამ ქართველ ხალხს ერთხელ კიდევ დაანახვა, რომ ეს იყო ქართველი ემიგრაციის მიერ ხალხის უნამუსოდ მოტყუილება. მისი უფსკრულისაკენ გაქანება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველ ხალხის სხეულიდან გამოშობილ სისხლით ეზიარებია თავი პოლიტიკურად და იდეურად გარდაცვალების ჟამს მენშევიკურ ემიგრაციას, რომ რამიშვილებს ერთხელ კიდევ დაეკრა ბუკი და ნაღარა ბურჟუაზიულ ევროპაში და ეცნობია ყველასათვის, რომ ქართველი ხალხი იბრძვის საბჭოთა წესწყობილების დასამხობად და მის ბატონობის აღსადგენად.

ამ ჟამად საბჭოთა პრესა საკმაო ცნობებს იძლევა იმის შესახებ რომ ქართველ ემიგრაციის ერთ ნაწილს განზრახული აქვს საქართველოს „შველა" რომანოვების ტახტის აღდგენით და კირილესა და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვების ლაგერში ამოყვეს თავი, ხოლო მეორე ნაწილი (მენშევიკური) მარტო ასეთი საშუალებითაც არ კმაყოფილდება, უფრო შორს მიდის და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიას მიეკედლა: იგი ომის ცეცხლის დანთებითა და შიგნით აჯანყებების მოწყობით ფიქრობს საქართველოს „განთავისუფლებას". იმ დროს, როცა, ჯერ კიდევ ქართველ ხალხს არ მოშუშებია აგვისტოს ავანტიურით მიღებული მძიმე ჭრილობები, ჟორდანია-რამიშვილი ახალი აჯანყებისაკენ იწვევენ ქართველ ხალხს. მაგრამ ქართველი ხალხი, არ გაყვება იმ პირებს, რომლებიც რომანოვების ტახტის აღდგენაზე ოცნებობენ. ქართველი ხალხი მრავალ წლების განმავლობაში იბრძვის თვითმპყრობელობის დასამხობად და დღეს ვერ გასცვლის სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ოქროს ბორკილებზე.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ნოე ჟორდანიას „მთავრობა" ამავე დროს პარიზში აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ მილიუკოვთან, რომ თუ საქართველოში მთავრობის თავმჯდომარე მენშევიკი იქნება, ის მზად არის საბჭოთა სისტემა იცნოს, რუსის ჯარი საქართველოში დააყენოს და სხვა.

აი სად მარხია თურმე ძაღლის თავი, რისთვის იბრძვიან და ილესავენ, თურმე, ხმალს კომუნისტების დასამარცხებლად ჟორდანია-რამიშვილი, რისთვის უერთდებიან თურმე ისინი ბურჟუაზიას, რომანოვებს, შავ გენერლებს, და მგონი თვით სატანაც კი კომუნისტების საწინააღმდეგოთ. რისთვის იძლევიან თურმე ახალ დირექტივებს საქართველოს მეორე აჯანყებაში ჩასათრევად.

ჭეშმარიტად სამწუხაროა და თან გასაკვირველი, რომ ემიგრაციის ბელადებმა იმდენად დაკარგეს საღი აზროვნება, რომ ერთხელ მაინც ვერ დაუსვეს თავის-თავს ასე კითხვა—მართლაც რომ ასტყდეს მსოფლიო ომი და ამით დაიმედებულმა ქართველმა ხალხმა, მართლაც აასრულოს ჟორდანია-რამიშვილის დირექტივები, აჯანყება მოაწყოს თავის საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ, რა შედეგი უნდა მოყვეს ამას. აიტანს-კი პატარა ერის სუსტი სხეული ასეთი ექსპერიმენტის განმეორებას? დაუშვათ, რომ დამარცხდა საბჭოთა წყობილება! ვინ დაიჭირავს მის ადგილს? რომანოვები ან სხვა თეთრი გენერალი. მერე რა დღეს დააყენებენ ისინი საქართველოს? რასაკვირველია ისეთსა და კიდევ უარესს დღეს დააყენებენ, ვიდრე ის იყო ნიკოლოზ მეორის დროს. ან თუ გონია მოქ. ჟორდანიას, რომ რესტავრაცია ქმნილი თვითმპყრობელობა მას დააბრუნებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეთ? ეს ტყუილი ოცნებაა. მაგრამ განახლებულმა თვითმპყრობელობამაც, რომ დაუფასოს ჟორდანია-რამიშვილს მათი დიდი დამსახურება, სოციალიზმის წინააღმდეგ, იმათ არ მიიღებს თვითონ ქართველი ხალხი, როგორც მის მოსისხლე მტერს, მის მოღალატეებს, რომლებმაც არა ერთი და ორი უბედურება დააყენა მას.

სვანეთის ხალხი ასე მსჯელობს: შეურცხვეს ტუჩი იმ ქართველის გაზრდილ დედას, რომელიც დღეს ეთა-

ყვანება რომანოვების ტახტის აღდგენას. ზიზღი და შეჩვენება საბჭოთა საწინააღმდეგოთ ომებისა და აჯანყებების ავტორებს. შორს თქვენი ხელები მშვიდობიანობის დარღვევის მქადაგებელნო, ქართველი ხალხის და ბნელ საფლავების გათხრის მოციქულნო. იკმარეთ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც სისხლი გცხიათ.

ბადეში განაბამი თევზი ბადეს არ მოხვდებაო; ნათქვამია. მწარე გაკვეთილებმა ხალხს გამოცდა დააჭერინა. თქვენს ავანტიურას ანკესზე აწი არავინ არ წამოეგება. ნება გვიბოძეთ მზად ვიყოთ მაგარმ არა იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უღალატოთ და შევებრძოლოთ არამედ იმისთვის, რომ ევროპიდან შავ ზღვაზე გადმონასროლ თქვენს პროვოკაციისა და ავანტიურის ანკესზე არ წამოვეგოთ. არ ავყვეთ იმ „მთავრობის“ წარმომადგენლების ფეხის ხმას, რომლის სამი წლის ბატონობის გემო და ღირებულება კარგად გვახსოვს, რომელმაც უღალატა ქართველ ხალხს, ურცხვად გაეპარა მის რისხვას და შემდეგ აგვისტოს ავანტიურა თავს დაატეხა.

საქართველოს მშრომელი ხალხი დღეს არავის მისცემს აგვისტოს განმეორების ნებას. ის იარაღით ხელში დაიცავს თავის საბჭოთა სახელმწიფოს, თავის კომუნისტურ ხელისუფლებას.

ე. გაბლიანი.

# პლეხანოვის სახ. კლუბში

1 ოქტომბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში დაიდგა პიესა „ორი ობოლი“.

ფრანგულიდან ნათარგმნი პიესის დადგმა, რომელიც მოითხოვს ჩვენთვის უცხო ტიპების განსახიერებას არ არის ადვილი. უსათუოდ დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ პლეხანოვის კლუბის სცენაზე, ადგილობრივი ძალებით, დამაკმაყოფილებლად ჩაეტარებიათ ისეთი პიესა, რომლის დაძლევა აკადემიურ თეატრებში პროფესიონალ მსახიობებსაც უჭირს.

ამ პიესის შესრულებამ, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პიესის სცენების ყოველ წვრილმანში მოცემული იყო ფრანგული სტილი, პიესის თვითეულ მონაწილეს ჩინებულად ქონდა გაგებული, შესწავლილი თავისი როლი. ანსაბლი დაცული იყო.

ახალგაზრდა მოთამაშეებიდან განსაკუთრებით კარგათ ასრულებდენ საპასუხისმგებლო როლებს ამხ. ამხ. შ. რამიშვილი—გრაფს და მ. თავდიშვილი —პიეროს.

პიესის კარგ დადგმასა და შესრულებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ აუდიტორია სავსებით დაპყრობილი ყავდა სცენას და პიესით გათვალისწინებულ განცდებს.

რეჟის. მებურიშვილის შრომამ საკმაო შედეგები მიიღო. რკინისგზელ მუშებისაგან სულ მოკლე დროში მან შექმნა დახელოვნებული სცენის მოყვარენი, რომლებიც პროფესიონალ მსახიობებს არ ჩამორჩებიან. პლეხანოვის კლუბის სცენაზე მებურიშვილმა შექმნა განსაკუთრებული დისციპლინა. საზოგადოებაც ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდება მის დადგმებს. ქართულ წარმოდგენებს ყოველთვის დიდი აუდიტორია ჰყავს.

არ შეგვიძლია აქვე არ ავღნიშნოთ ის ცუდი ტენდენცია, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს პლეხანოვის კლუბში. და რაც გამოიხატება კლასიური პიესების დაგმის უარყოფაში. ამ გარემოებით სრულიად სამართლიანად არის უკმაყოფილო ადგილობრივი საზოგადოება და რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ კავშირის კულტგანყოფილ. და კლუბის გამგეობამ.

პლეხანოვის კლუბი არავითარ შემთხვევაში არ შეძლება დაუქვემდებაროთ დანარჩენ სხვა მუშათა კლუბების ტრადიციებს. პლეხანოვის კლუბი, ლენინის რაიონისათვის, რომელიც საკამოთ დაშორებულია აკადემიურ თეატრებს, არის არა მარტო კლუბი,—ამ სიტყვის ეხლანდელი მნიშვნელობით,—არამედ თეატრიც, ხელოვნების კერაც.

უნდა ვიცოდეთ, რომ ლენინის რაიონის მუშათა მასებს, რომელთაც არ შეუძლიათ აკადემიური თეატრებით სარგებლობა, პლეხანოვის კლუბში უნდა მივცეთ მაღი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი პიესები. სამწუხაროდ, ზოგიერთები, რომლებმაც ძალიან ცოტა რამ იციან ძველი ნაძალადევის რევოლიუციონური და კულტურული მუშაობის წარსულიდან, მეტად მარტივად და პრიმიტიულად სწყვეტენ ამ კითხვებს. მათ უნდა აუხსნათ, რომ პლეხანოვის კლუბი არ შეიძლება დაუქვემდებაროთ ზოგიერთი მუშათა კლუბების შაბლონს და რეპერტუარს: მისი მუშაობა არ უნდა განვსაზღვროთ „ლურჯ ხალათიანების“ გამოსვლებით და „ტიმოთეს ლელევის“ და „ორი მშიერის“ მგზავსი პიესების დადგმით.

საჭიროა, რომ პლეხანოვის კლუბში იდგმებოდეს სურიოზული პიესები და პიესების დადგმას თვალსაჩინო ადგილი ეჭიროს მასიური მუშაობის რეპერტუარში, რადგან მუშებსაც მეტი ინტერესი აქვთ ამ სფეროში მუშაობისა და აუდიტორიაც უფრო მეტ კმაყოფილებას ღებულობს მით.

ქართული დრამწრის მუშაობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, მასზე მეტი თანხებიც უნდა დაიხარჯოს, და თუ ეს არხდება, მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვისაც ეს ეხება.

ლ. კუპრაშვილი.

# რკინის გზის რამე-რუმე

უკვე 2 თვე გადის, რაც რკინის გზაზე შემოიღეს ამერიკული წესი“ ორთქლმავლების მუშაობაში.

ეს „წესი“ მდგომარეობს შემდეგში: ორთქლმავლებს აღარ ჰყავს მემანქანე—პატრონი და გადადის სამუშაოთ ხელიდან ხელში. ასეთი წესის შემოღება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მუშაობამ იმატა და ორთქლმავლები არ იყო საკმარისი.

როცა ორთქლმავალს საკუთარი მემანქანე ჰყავდა მიჩნეული, მაშინ მემანქანეს დასვენების დროს, ის უძრავად იდგა საყუდში, სანამ არ მოუწევდა სამუშაოზე გამოსვლის რიგი, „ამერიკული წესით“ კი ორთქლმავალი არ არის მიკუთვნებული ერთ მემანქანეზე და შეიძლება სულ მოძრაობაში იყოს.

ამ წესით ნაკლები ორთქლმავლებით შესაძლებელი გახდა მეტი საქმის გაკეთება და აგრეთვე საყუდის განტვირთვაც ზედმეტი ორთქლმავლებისაგან, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ვხედავთ, ამერიკული წესი კარგი და სასარგებლო ყოფილა. მაშ, რათ იყვენ ზოგიერთი რკინისგზელები ამ წესის წინააღმდეგ?

ეს წესი კარგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ორთქლმავალი უნაკლულოა, თუ იგი კარგად არის შეკეთებული.

ერთი თვეა, რაც ამ ახალი წესით ვმუშაობთ და უკვე დაეტყო ორთქლმავლებს „უპატრონობა“. გახშირდა ორთქლმავლების გაფუჭება და მოძრაობის შეფერხების შემთხვევები. საყუდი ხშირად გზავნის სამუშაოდ შეუკეთებელ ორთქლმავალს და ის გზაში ველარ ასრულებს თავის სამუშაოს. ამნაირად, ამ ახალმა წესმა ჯერ მხოლოდ ზიანი მოგვცა.

ეს ასეც გაგრძელდება თუ ამ საქმეს დიდი ყურადღება არ მიექცა.

ამისათვის საჭიროა, საყუდს მიემატოს საქმის მცოდნე ხელოსნები. საჭიროა ყველა მუშამ, ყველა ხელოსანმა გამოიჩინოს დიდი ენერგია და მუყაითობა, თორემ ეს ამერიკული წესი“ ჩიხში მოგვაქცევს.

ამ მხრივ საყუდში მუშაობა ძალზე კოჭლობს. ორთქლამვლების შეკეთებას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

—:—

**მთავარი სახელოსნო.** მუშაობის გათავების შემდეგ თუ გაჩერდებით, სახელოსნოსათვის შენიშნავთ მეტად სამარცხვინო სურათს: ზოგიერთ მუშას მიაქვს სახლში ნაფოტით ან ბურბუშელათი სავსე კალათი. ასეთი ნაფოტების წაღების უფლება მართალია მუშებს აქვთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ნაფოტებში ხშირად აღმოჩნდება სხვადასხვა საჭირო იარაღი, მასალა, და სახელოსნოში გამოსადექი ფიცრის ნაჭრები.

კარებთან მდომი დარაჯი ხშირად ამჩნევს ამას დაართმევს, მაგრამ შესაძლებელია ასეთი შემთხვევების გაშვება. მუშების უმეტესობამ ამ სამარცხვინო საქციელს, რომელსაც დაეჩვიენ მეფის რეჟიმის დროს, თავი დაანება, მაგრამ კიდევ დარჩენ შეუგნებელ-გაუსწორებელი, რომლებიც არცხვენენ მუშებს.

ამის შესახებ არა ერთხელ დაგვიწერია, მაგრამ ზოგიერთის გამოსწორებას არა ეშველა რა.

ამიტომ საჭიროა სახელოსნოს ადმინისტრაციამ და კავშირმა სავსებით აღკრძალონ სახელოსნოდან რაიმეს გამოტანა და ბურბუშელა-ნაფოტების მუშებზე დარიგება მოახდინონ თვეში ერთხელ, რითაც ავიცილებთ შესაძლებელ გაუგებრობას და ყოველდღიურად კალათების სინჯვას და დავი-დარაბას.

———

ძალიან მოიკოჭლებს რკინის გზაზე წესიერების დაცვის საქმე. არსებობს მთელი დარგი მცველებისა, მაგრამ მათ მაინც ვერ ხედავ სადაც და როცა საჭიროა.

ასეთები კი მეტად საჭიროა დიდ სადგურებიდან მატარებლების გასვლის დროს.

არის შემთხვევები, რომ უბილეთო მგზავრები სხდებიან მიმავალ მატარებელზე. სხდებიან რონოდების საფეხურებზე, სახურავზე, ორთქლმავლის წამბზე და სხვაგან. მემანქანე, მემუხრუჭეები მათ ვერ შენიშნავენ: გააჩერებ მატარებელს—ჩამოხტებიან. წაიყვან და ისევ დასხდებიან. აი, აქ საჭიროა მცველი და საჭიროა მანამ, სანამ საზოგადოება თვით შეიგნებდეს, რომ არა თუ უბილეთოდ მგზავრობა, არამედ რკინის გზის ლიანდაგზე სიარულიც კი დაუშვებელია.

დიდ სადგურებს თუ აკლია მცველები, რაღა იქნება პატარა სადგურებზე, სადაც მცველები სრულებით არ არიან?

აქ მდგომარეობა კიდევ უარესია. მაგალითისათვის ავიღოთ სურამი. ზაფხულობით აქ ყოველ საათში მგზავრებით სავსე მატარებლები დარბიან სურამ-ხაშურ შუა. სადგური სავსეა ხალხით: არ აკლია ავარა ბიჭებიც.

არის ერთი აურ-ზაური, ყვირილი, ჩხუბი, და წესიერების დამცველი კი არ არის.

ასეა ყოველდღე მთელი ზაფხულის განმავლობაში და გიკვირს—რატომ არავინ აქცევს ამას ყურადღებას.

რაკი სურამზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება.

როცა აგრილდება და სურამის უღელტეხილს შემოუბერავს ცივი ქარი—ერთბაშად დაიძრებიან მოაგარაკენი. ყველას უნდა პირველი მატარებლით წასვლა, ყველას უნდა თბილისის პირდაპირ რონოდაში.

ასეთი რონოდა კი არის დღე და ღამეში მხოლოდ ორ მატარებელზე და ისიც თითო. აუწერელია ის, რაც ამ რონოდებში ხდება. დილიდანვე უცდიან ამ რონოდას. ქირაობენ უსაქმოდ მოყიალე ბიჭებს და აგზავნიან მათ ხაშურში, რათა იქიდანვე დაიკავონ ალაგი.

აი მოვიდა რონოდა სურამში. ის სავსეა ამ დაქირავებული ბიჭებით, რომლებიც რონოდაში ადგილს უშვებენ.

არ სჩანს არც მემუხრუჭე. რონოდა უპატრონოთ არის და შიგ იმართება რაღაცა არა ჩვეულებრივი ამბავი.

ასეთი უწესოება არ ეპატიება არც რკინის გზას და არც მგზავრებს. რკინის გზამ ასეთ დროს უნდა დანიშნოს სურამამდი ორი სამი პირდაპირი რონოდა, ხოლო მგზავრებმა, იმდენი შეგნება და მოქალაქეობა უნდა გამოიჩინონ, რომ დაიცვან წესრიგი.

არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ რკინის გზის ადმინისტრაციას, რომ ის ვერ ითვალისწინებს ადრევე ასეთ შემთხვევებს და არ ღებულობს თავის დროზე შესაფერ ზომებს.

დულაბი.

# ყოფ. სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ხმა

## (სენაკის მაზრა)

ყველასათვის აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეუდარებელი ენერგიით და გულმოდგინებით აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ საქართველოში. სახალხო მეურნეობის ახალი ტემპითა და ახალი სახით წინსვლა, რომლის მგზავსი ჯერ საქართველოს არ ახსოვს მთელ თავის ისტორიულ წარსულში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტურ მშენებლობის შედეგია.

მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს განადგურებული მეურნეობა, უკვე აღდგენილია და დაწყებულია სრულიად ახალი მშენებლობა.

განთავისუფლების გზაზე მდგარი მეურნეობა: მრავალი ფაბრიკა-ქარხნები, მტკიცე კურსის აღება ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციისაკენ, უკვე აშენებული ელექტრო-სადგურები, წამოწყებანი და მომავლისათვის გათვალისწინებული გეგმები ახალი აღმშენებლობისა უდიდეს პერსპექტივებს უშლის საბჭოთა საქართველოს.

საქართველოს მშრომელთ მხოლოდ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, შეუძლიათ სთქვან, რომ ისინი არიან სრულიად თავისუფალი, კიდევ მეტი ისინი ბატონ-პატრონია თავისი ქვეყნისა და აწარმოებს კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობას სოციალისტურ ნიადაგზე, რითაც ჰქმნის წინასწარ პირობას სოციალიზმის დასამყარებლად.

უმაგალითო ინტენსივობით ვითარდება საბჭოთა კავშირი,—არის დიდი მიღწევები ცხოვრების ყოველ სფეროში. საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთეულია და მისი განვითარების გზაც იგივეა.

უდიდესი მიღწევები როგორც კულტურულ-ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ დარგში ურყევი საბუთია იმისა, რომ ურყევი საფუძვლები ეყრება საქართველოს დამოუკიდებულებას, სრული საბუთია იმისა, რომ საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა წყობილებაში შეუძლია თავისი სუვერენობის შენარჩუნება. თუ არა ამ გზით, საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, ის გახდება იმპერიალისტურ სახელმწიფოების საჯიჯგნი კოლონია. ამის მაგალითი ჩვენ უკვე ვნახეთ მენშევიკურ საქართველოში. ამის დამადასტურებელია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მგლური დამოკიდებულება მცირე და კოლონიალურ ერებთან.

მაშასადამე ქართველი ხალხის და საქართველოს მო-

სისხლე მტერია იგი, ვინც ებრძვის ჩვენში კომუნისტურ ხელისუფლებას, საბჭოთა წყობილებას.

საქართველოს მოსისხლე მტრების როლში გამოდიან დღეს ქართველი ემიგრაციის ლიდერები, რომლებიც აშკარად ემხრობიან საბჭოთა კავშირის მტრებს და მათთან ერთად ცდილობენ საბჭოთა წყობილების დანგრევას.

ქართველ ხალხს უდიდეს მტრად დღეს ევლინება ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობა“, რომელიც ცდილობს ქართველ ხალხს თავზე დაატეხოს ახალი უბედურება, გამოიწვიოს ახალი სისხლის ღვრა, ამისათვის აყეფებენ თავიანთ ფინიებს, გზავნიან საქართველოში თავის საპროვოკაციო დირექტივებს... არ ჯერდებიან აგვისტოს ავანტიურას და უფრო დიდ საშინელებას უმზადებენ ქართველ ხალხს.

ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ მათ ყურს არ დაუგდებს არც ერთი პატიოსანი ქართველი მოქალაქე, მათ ჩვენში არავინ აყვება, ისინი მათ სასმენად ერთ პატიოსან მშრომელსაც ვერ იპოვიან ჩვენში ახალი ავანტიურის მსხვერპლად.

დეე, მათი ჩხავილი იყოს სასიკვდილოთ განწირულ ადამიანის უკანასკნელი ამოკვნესა!

ჩვენ, სენაკის მაზრის ყოფ. მენშევიკები, ს.-დ. პარტიის ძველი მუშაკები ხმამაღლა ვაცხადებთ:

ჟორდანია-რამიშვილის პროვოკაცია დამღუპველია ქართველი ხალხისთვის. მწარეთ მოვსტყუვდით და ხალხისა და ისტორიის წინაშე მიუტოვებელი შეცდომები ჩავიდინეთ მაშინ, როცა შევებრძოლეთ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

ვიღებთ რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმულს, ჩვენ ქვემოდ ხელის მომწერნი, ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკები, ფიცსა ვსდებთ ერთგული დახმარება გაუწიოთ კომუნისტურ პარტიას ოქტომბრის მონაპოვართა დაცვა-განმტკიცებაში და იარაღით ხელში ვიბრძოლოთ მათთან ერთად.

## ხელისმომწერთა სია

პირტახია იორდანე ნიკოსძე, თელია ნესტორ აპილასისძე, გეგეშიძე ალექსანდრე ლუკასძე, ზამთარაძე კალისტრატე ზაქარიას ძე, ბოხუა გიორგი დავითისძე, გაბუნია პლატონ ლუკასძე, თელია ილიკო გერასიმესძე, თელია ნესტორ ეგნატესძე, ნოდია ივანე მაქსიმესძე, ხონელიძე რემანოზ სტეფანეს ძე, გოგიშვილი ივანე ესტატესძე, ანაკიძე კონსტანტინე ბუჭუას ძე, ჩიგოგიძე ივანე ანტონის ძე, ნემსაძე ამბროსი ონისიმესძე, ლეჟავა ალექსანდრე ბარისოსძე, ხონელიძე მიხა დავითის ძე, ანაკიძე ბაიმ პავლესძე, ჩიგოგიძე ვლადიმერ სტეფანესძე, ნინუა ფარნა ნიკოლოზის ძე, გოგიშვილი გიორგი ეგნატესძე, პირტახია ივანე ნიკოს ძე, ხაბეიშვილი გიორგი იოსების ძე, ვეიშვილი გიორგი დავით. ძე, ჯანელიძე არსენ სიკოს ძე, მიქაძე დიომიდე ონისიმეს ძე, თელია ონიფანტე ანდრიას ძე, ზამთარაძე სერაპიონ ივას ძე, ბოხუა ივანე მოსეს ძე, სულავა მელიტონ გიორგის ძე, ფრანგიშვილი ალექსანდრე ბესარიონის ძე, ტალიკაძე გიორგი ბიჭიას ძე, გოგიშვილი ილია დიმიტრის ძე, გვაზავა სევერიანე გიგოს ძე, ჩიქოვანი ბიძიკო ქაიხოსროს ძე, მიქაძე კირილე მიტროფანეს ძე, მიჭიკო ქაიხოსროს ძე, მიქაძე კირილე მიტროფანეს ძე, მიალექსანდრე გიორგის ძე, გოჩოლეიშვილი ირაკლი, შენგელია არსენ მელიტონისძე, შენგელია სილიბისტრო, ფრანგიშვილი ერმილე ნიკოს ძე, მიქაძე ლევარსი ლუკას ძე, შენგელია დავით იორდანეს ძე. გეგელია ივანე, მიქაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე, მიქაძე ნესტორ ნიკოლოზის ძე; მიქაძე მაქსიმე საბას ძე, მიქაძე ვასილი ივანეს ძე, მიქაძე გერასიმე ვასილის ძე, რუსია ალფეზი სოფრომის ძე; შენგელია გაბრიელი, ლეჟავა იასონი ბატასძე, ბოკერია გიორგი ლავრენტის ძე, გაბუნია ვასილი გიორგის ძე, ჯიბლაძე ანდრია ილარიონის ძე, ილია ლავრენტის ძე ბოკერია, გიგინეიშვილი ილია ერისტოს ძე, ჯიბლაძე გედევან ნიკოს ძე, ჯიბლაძე თეოფილე ვასილის ძე, ფირცხალავა პახვილა ალექსანდრეს ძე, გიგინეიშვილი (გიგიშვილი) ანდრო დიმიტრის ძე, ქოიავა ვასილ ბურდუს ძე, გიგენიშვილი გიორგი მარკოზის ძე, გოგავა საონი იასეს ძე, ჯანელიძე კირილე სიკოს ძე, გაბუნია ბათლომე ათანასეს ძე, რუსია ფილიპე სპირიდონის ძე, ანდრიაძე პავლე კოზმანის ძე, რუსია კონსტანტინე დავითის ძე, მსხალაია იოსებ ნიკოლოზის ძე, გავილავა ერმილე ივანეს ძე, ზარაქუა გრიგორ ქაქუჩის ძე, დარციმელია ლუკა გიორგის ძე, ესვანჯია მელიტონ ივანეს ძე, ურიდია ანდრო პავლეს ძე, გაბუნია კალისტრატე ტაიას ძე, კაჭარავა გაბრიელ სიმონის ძე, კეკელია ანდრო სესის ძე, გაბუნია მარუსია ვლადიმერის ასული, ფალია ჭაჭული ტარიელის ასული, პატარია პარმენ როსტომის ძე, ნაჭყეპია ბესარიონ, ლომაია ილია სტეფანეს ძე, ლომაია არსენი სტეფანეს ძე, ანჯაფარიძე ილია მოსეს ძე, ანჯაფარიძე დავითი იოსეს ძე, მიქავა სილიბისტრო სიოს ძე, მიქავა ალექსანდრე უთუს ძე, მიქავა კოჩია თეოს ძე, მიქავა პორფილე ანდროს ძე, ლომაია ვლადიმერ სტეფანეს ძე, ხურცილავა ერასტო გიორგის ძე, კაკულია არსენ პავლეს ძე, კაკულია ექვთიმე სუმოს ძე, ჯახუა ანდრია მარკოზის ძე, ყურუა ტაია გოჯოს ძე, კარტოზია ლუკა პავლესძე, ყურუა პავლე ლაზარიკას ძე, ყურუა დიმიტრი ტაიას ძე, სოსელია დომენტი მურზას ძე, მიქავა მოსე ბაკურიას ძე, ცეკვავა დომენტი სტეფანეს ძე, კარტოზია იასონ პავლეს ძე, გულუა უთუ ხახუტას ძე,

...ია აკაკი ბახვას ძე, იოსელიანი პეტრე მიხეილის ძე, იოსელიანი ვლადიმერ ესას ძე, ჯაჯავა ლავრენტი დათას ძე, პაჭკორია ივანე გიორგის ძე, ცხვიტარია ალექსანდრე სიმონის ძე, გარუჩავა ევგენი გიგას ძე, ბაბულუა ირაკლი ლავრენტის ძე, ადამია სერაპიონ როსტომის ძე ჭანტურია არტემი სიმონის ძე, კარტოზია არტემი იასეს ძე, გულუა ანდრო ანტონის ძე, გვიჩია ევგენი ბახვას ძე, გაბუჩავა პავლე ნიკოს ძე, მიქაძე კლემენტი ბენედიქ. ძე, თოფურია ილარიონ გვადასძე, ქორქია ვლადიმერ ყარამანისძე, ჭოჭუა ივანე სიმონისძე, ღვამიჩავა ანტონი კოსტასძე, ჭოჭუა გალაქტიონ ძაკუსძე, ბერძენი ალექსანდრე იოსებისძე, ქობალავა ლევან დიმიტრისძე, ქორქია დათიკო ჯაბასძე, ნორაკია კოლია პეტრესძე, გვიჩია თეოფილე გიორგისძე, ფარცვანია იონა სტეფანესძე, ხეიძე სისო იოსესძე, ხარგულია იონა გვიტისძე, ჯანაშია სამსონ ბახვასძე, ბერიძე ევგენი გახუსძე, გვიჩია პავლე ტუტუსძე, ბერიძე გრიშა ნიკოსძე, გვასალია ალექსანდრე ნიკოსძე, კუჭავა ესტატე, გოროზია ბაგრატ ალექსისძე, ნაჭყეპია ჭადული კოკოსძე, ბერულავა გრიგორი ბეჩუსძე, ფირცხალავა სამსონ ზოსიმეს ძე, ფიჩხაია ისაკი ისიდორეს ძე, ფირცხალავა ესტატე დიმიტრისძე, ფირცხალავა სამსონ ნიკოლოზისძე, ჭილაია თეოფანე დიმიტრისძე, ჭილაია ივანე ბასასძე; ჭილაია რომა ბასასძე, ჭოლაია კონსტანტინე სოფრომისძე; სიგუა პეტრე დათასძე, ცანავა ვასილი დიმიტრისძე, სხულუხია მიხა თედოსძე, ბასილაია დრიმი კოსტასძე, სხულუხია სევერიან იორდანესძე, ბასილია თეოფანე სიმონისძე, ახვლედიანი ალიოშა ტარასისძე, ბასილაია სამსონ იაკობისძე,ბასილაია გრიგორი კოსტასძე, სხულუხია გუდუ, გარუჩავა იასონი სოფრომისძე, ჟვანია სამსონი ბაკურისძე, ხარბედია აქვსენტი მანუჩარიძე, ხურცია არტემი მათესძე, შალამბერიძე აქვსენტი ბესარიონისძე, ხუნწარია იონა ზურაბისძე, მიქავა ბეგლარ ბიჭიასძე, ნორაკიძე იასონ ბესარიონისძე; გეგენავა ნოე დუტუსძე; თევზაძე ანთიმოზ ბეკოსძე; მატახერია ივლიანე გიორგისძე, მატახერია ერმილე ლევანისძე, ლოლუა ერასტი ფარნასძე, კუხალეიშვილი მაქსიმე მიხეილისძე, კეშელავა კაკო კოსტასძე, კალანდარაშვილი თადეოზ, თვალაძემიხეილ ესტატესძე, მატახერია გრიგოლ სპირიდონისძე, თოფურიძე გრიგოლ ირაკლისძე, თოფურია პარმენ გაბრიელისძე, საჯაია ბარისი კოსტასძე, თოფურიძე იასონ ალექსანდრესძე, ღვამბერია არტემი გიორგისძე, დაშენია ლავრენტი, შალამბერიძე ივლიანე ბესარიონისძე, ესებუა დიმიტრი ერასტისძე, ნადარეიშვილი ანა მიხეილის ასული, მერაბიშვილი ნესტორ მიხეილისძე, ოდიშარია პლატონ კოწიასძე, გეგია ვლადიმერ პავლესძე, კილასონია კაპიტონ პავლესძე, სირია კონსტანტინე დავითისძე, სირია არსენი ნიკოსძე, ჭაკობია გრიგორი გოგოსძე, ოდიშარია კაკუ სტეფანესძე, ოდიშარია ალექსანდრე თემუყვასძე, ოდიშარია ილარიონ გიორგისძე, ჭედია პლატონ ტაგუს-

ძე, ჰაპავა დიმიტრი ბასასძე, გეგია ალექსანდრე გაიზისძე, გოგიბერია მიხეილი, ოდიშარია არტემ დუტუსძე, ბესელია ერასტო, ჭაავა გიორგი ჯამუსძე, ქებურია დიმიტრი გიგოსძე, შაბათავა ანტონ ტაგუსძე, სარავა დათიკო სუმოსძე, ღვინჯილია ბაგრატ უთუსძე, გაბედავა მოსე პეტრესძე, ღვინჯილია ფარნა ქაუჩისძე, გაბუნია ხამსონ მიტუსძე, მალანია ალექსი გიორგისძე, საბახტარაშვილი ბათლომე, არჯევანიძე დიმიტრი დუტუსძე, კარტოზია პლატონ ბახვასძე, ქუჩულორია მიხა გიორგისძე, ქუჩულორია ნესტორ, ჯოლოგუა ტარასი ბერიკასძე, ღვინჯილია ბეგლარ სიმონისძე, ხუბუა ისლამ ცაკვასძე, გოგინავა ევგენი ნიკოსძე, რურუა ბესარიონ ნიკოსძე, რურუა იულონი იოსესძე, გაბისონია პლატონ გედლაჩისძე, შონია ერასტო გვარასძე, ცომია ნესტორ ეგნატესძე, თოფურია აკაკი ჯავასძე, ქოიავა არისტარხი ისიდორესძე, ცომაია საჩინო ალექსანდრესძე ცომაია თემურაზ დიმიტრისძე, კაჭარავა ლუკა გიგოსძე, ქოიავა სილიბისტრო გიგოსძე, ქოიავა ალექსი მარკოზისძე, კუპრავა ლუკა ბესოსძე, ცომაია ლევან ალმასხანისძე, გაბილია პავლე დიმირისძე, ცომაია ევგენი ლომკაცისძე, ცინცაძე სერაპიონ, ცომაია თემურაზ იოსესძე, ცომაია ვლადიმერ საბასძე, ელიზბარ ბოჭყუა, მესხი ალექსანდრე; ჭანტურია მურზაყან, ცომაია ილიკო ლომკაცისძე, სიმონია რაჟდენ გიორგისძე; ქორჩილავა ბიქტორ ბეკოსძე, მელია ანტონ, კორზარხია ალექსანდრე, გვაზავა ალექსანდრე დათასძე, გუგუშვილი ალექსანდრე, სიმონია ოლიფანტე ალექსანდრესძე, ცომაია პართენ, გაბელაია მელიტონ, აბოხაძე სიმონ ნიკოსძე. ფაცია სილიბისტრო პეტრეს ასული ჯალაგანიძე, სიმომასძე, ახალაია ბესარიონ საბასძე, კვეკვეცია ექვთიმე პეტრესძე. ციხვაია კირილე. ჭიჭილუა გრიგოლ, ჯანჯღავა ნიკოლოზ ივანესძე, გეძველია ანდრია ივანესძე, ახალაია პონტელეიმონ საბასძე. ქაცარავა სამსონ, ჯღარკავა ვასილი ლაზარესძე, ხულავა გერასიმე ბათლომესძე, წოწერია რაჟდენ ტოტასძე, ეშკარიანი ლეონიდე სილბისტროს ასული, ჯანჯღავა გულისა მაქსიმესძე, ფაცაცია კოსტა ხუხუსძე, ბახიშვილი თომა ბასიკაისძე, ბახიშვილი აკაკი მიხასძე, შავდია პლატონ დავითისძე, ბუალავა ილარიონ ჯადუსძე, შავდია მაკარი სოლომონისძე, წულაია დავით კოჩასძე, ნადარეიშვილი საჩინო დიმიტრისძე, ნადარეიშვილი გიოგი თოდორესძე, თოფურიძე ევსევი კოსტასძე, ნადარეიშვილი ანდრო ბესოსძე, ფირცხალავა თედო უტუსძე, კუპრაძე ვასო მელიტონისძე. თალაკვაძე ვლადიმერ ეგნატესძე, ნადარეიშვილი ბეგი დიმიტრისძე, ნადარეიშვი ნესტორ გიგოსძე, შარუხია გრიგორი მოსესძე, შარუხია ირაკლი მისოსძე, ქვანია ბარნაბა, ერმილეს ძე, კუხალეიშვილი მაქსიმე, ნადარეიშვილი ელფეზი ანტონის ძე, ნადარაეიშვილი მელიტონ ანანას ძე, ნადარეიშვილი ერმილე თომ. ძე, ნადარეიშვილი ბესარიონ ანტ. ძე, კუხალეიშვილი ალექსანდრე გიგოს ძე, კუხალეიშვილი კოსტა თედორეს ძე, თაკვალია მიხა ბეკოს ძე, ნადარეიშვილი ბაგა სარდიონის ძე, ნადარეიშვილი იასონ გიგოს ძე, ნადარეიშვილი ირაკლი მეთოს ძე,თაკვილაია პავლე, ნადარეიშვილი ალექსი შოშ. ძე, გოჩალეიშვილი სტეფანე ისაკის ძე, ნადარეიშვილი იულო გიორგის ძე, ნადარეიშვილი პლატონ, ნადარია ივანე გოჯის ძე, ნადარეიშვილი ნესტორ, თოფურიძე ქაიხოსრო, თოფურიძე დავით იულოს ძე. ნოდია ივანე, ბალათურა ლავრენტი ივ. ძე, რუხაია სოლომონ ეგნატეს ძე. რურუა სამსონ ბაკურას ძე,ნოდია ბუხუტი, მიქაძე გრიგორი, მიქაძე სამსონ ესტატეს ძე, მიქაძე სიმონ რამონის ძე, მიქაძე ნ. გიორგის ძე, დარსმელიძე ლევან ანდრიას ძე, ჩოჩგელაშვილი ივანე ლაზარეს ძე. კვანტალიანი ალექსანდრე, თოფურია აკაკი სტეფანეს ძე, ჭოჭუა ექვთიმე ბეჟანის ძე, მიქაძე მაქ. გლახუას ძე, მიქაძე ივანე თედორეს ძე, მიქაძე ნესტორ სიმონის ძე, ჭანგვალაძე იასონ თედორეს ძე, მიქაძე ნესტორ სიმ. ძე, ჯანგვალაძე იასონ პავლეს ძე, ჩორგოლაშვილი ალქესანდრე, წირღვავა ვასილი, ვერულაშვილი დიმიტრი სიოს ძე; დარსიმელაძე მიხა, დოხნაძე სიმონ ივ. ძე, ყურუა მელიტონ გლახუას ძე, მიქაძე ნიკო ვახუს ძე, მიქაძე ეგნატე მერაბის ძე, მიქაძე ილია ანდრიას ძე, კვანტალიანი თადეოზ ეგნატეს ძე, დანელია პავლე დავითის ძე, დანელია ბიქტორ დავითის ძე, დანელია ლიპარიტი ბეჩუს ძე, დანელია დომენტი ბიტუს ძე, დანელია პლატონ დათას ძე, ჩიხლაძე ვლადიმერ ივანეს ძე, ქირავა აქვსენტი ანდრიას ძე, ძაგანია ალექსანდრე, ძაგანია ანდრო გახუს ძე, ძაგანია დიანოზ გახუს ძე, გვილავა ბესა მიქალის ძე, დანელია ნესტორ მიქალას ძე, წირქვაძე ერასტო ბუჟუს ძე, წირქვაძე ევპრაქსია ბეჟუს ასული, სარჩიმილია ლავრენტი, ქუთათელაძე ალექსანდრე გიორგის ძე. ქუთათელაძე თეობილე გიორგის ძე, ნაჭყეპია ფილიპე ნიკოს ძე, სარჩიმელია ალექსანდრე, სარჩიმელია ანტონი, ქაჯაია სარდიონი კიმოთეს ძე, გაბუნია რაჟდენ გვიდის ძე, ქაჯაია ერმილე ეგის ძე, ქაჯაია ჩაგუ გიოს ძე, პირტახია ნეოლინა თედორეს ასული, მიქაია სოლომონ დავითის ძე, ქაჯაია ალექსანგი სიკოს ძე, ბარქაია ძიკი ეგნატეს ძე, ბარქაია ექვთიმე, აფშილავა იოსებ მოსეს ძე, დგებუაძე ლიპარი ალექსის ძე, დამენია ვლადიმერ ტოტისძე, ჯოჯუა ამბროსი თემუყვის ძე, ძაძამია მელიტონ. ძაძამია ილია უთუთის ძე, არზიანი ნესტორ გიორგის ძე. ქადარია მაქსიმე გვაჩის ძე, ბერია ილია მასას ძე, ჯოჯუა აქვსენტი, გოგია თადე დუტუს ძე, მიქავა ბარდლა გუხას ძე, არზიანი აკაკი, არზიანი ბესა გიგოს ძე, ჩაგანავა სანდრო თემუყვას ძე, ჩაგანავა კოსტა, წულაია გერასიმე დუტუს ძე, შელია ჰარმენ ფარნას ძე, თელია პავლე ბეჩუს ძე, ჩაგანავა ონოფრე, კეკელიძე პახვალა პეპეს ძე, ჩაგანავა ლავრენტი თემუყვას ძე, ჭილაძე ზონა იაგორას ძე, კეკელია დომენტი გიორგის ძე, გაბუჩავა ეფრემი ივანეს ძე, შაფათავა მურზა ჯამუთის ძე, ნინუა ანდრო სამსონის ძე. ნინუა, თეოფანე პავლეს ძე ჩიქობავა, გოგიბერია გუჯა მაკოს ძე, ქავთარაძე ერმილე მუროსის ძე; ჯანჯღავა სიმონი ტატას ძე, ფაჩუაშვილი ბესა სესის ძე, ქავთარაძე ტარიელ მახუს ძე, ქავთარაძე დიანოზ, ჯოლია ტარიელი, ჭუბაბრია კონსტანტინე, ჭუბაბრია მონუჩი, კუპრაშვილი ბეგლარ გოჩას ძე, რატიანი ბესარიონ ლევანის ძე, ოჩიგავა სტეფანე, დგებუაძე ივანე მაქსიმეს ძე, კუპრაშვილი ლავრენტი, გვილავა ლაზარე თემურაზის ძე, ოჩიგავა სამსონ პავლეს ძე, ოჩიგავა იონა გიგოს ძე, ბოჯგუა ყარამან კოსტას ძე, ტყებუჩავა იაკობ ნიკოს ძე, ზარქუა ვლადიმერ პეპუს ძე, ქითავა ნესტორ, ქითავა ნესტორ, ზანარდია ნესტორ კონტირასძე. გვახალია დიმიტრი, გვახალია ძუკუ სოფროს ძე, ნორაკიძე ნესტორ ალექსანდრეს ძე, გვახალია ნესტორ მოსეს ძე, დადიანი სოფრო კაპიტოს ძე, გვახალია იოსებ სოფროს ძე, მატახერია კონსტანტინე ლევანის ძე, გუგუშვილი ვეთეთია ლევარსის ძე, ჩოჩია იაკობ თემურაზის ძე, მატკავა ვასილი კოსტასტეს ძე, უჩანეიშვილი ბურდუ გიგოს ძე, გუგუშვილი დიმიტრი, კუჭურიძე ივანე, გუნია კოლია, მიმინოშვილი კოლია, უჩანეიშვილ სევერიანე, მაკალათი იოს., ტყებუჩავა ალექსანდრე, მატკავა ეულიანე, მიმინოშვილი ყარამან ლევანის ძე, ირაკლი მაქსიმეს ძე, ფირცხალავა, კუჭუხიძე ბიკტორ ივანეს ძე, მიმინოშვილი ესტატე ზაქარის ძე, ქვილითაია გრიგოლ მალაქის ძე, არველაძე ნესტოს მარკოზის ძე, სოლომონია ძლოვა გერასიმეს ძე, ესაკია შალვა, კუჭუხიძე ესტატე კოსტას ძე. ლომია პავლე ხუტუს ძე, ჯანჯღავა კოსტა გიგოს ძე.

როდიონ ქორქია.

# მომღერალი ძეგლი

## I.

ძველი პოლკოვნიკი, მეფის გვარდიის ყოფილი ოფიცერი და დიდი მემამულე, ფრთხილად, ფეხ-აკრეფით უახლოვდება თავის ყოფილ მამულში ყოფილ სასახლეს.

აი, მაღალ სვეტებიანი, ფართე ფანჯრებიანი, თეთრად შეღებილი, ოდესღაც ამაყი და მხიარული სასახლე. ახლა იქ რევკომია მოთავსებული, მინები ჩამტვრეულია და ქალწულის მკლავებივით სათუთად მოვლილ სვეტებზე მრავალი დაფაა მიკრული. იცის პოლკოვნიკმა, თუ როგორი წარწერები იქნება იმ დაფაზე: „სამხედრო განყოფილება“, „სასურსათო განყოფილება“, „განათლების განყოფილება“ და სხვადასხვა... და ყველა ამ წარწერათა შორის ერთი ყველაზე საშინელი, მკაცრი და ულმობელი „ჩეკა“. პოლკოვნიკს ტანში გააჟრჟოლა და ბრაზისაგან კბილები დააკრაჭუნა.

აი, იქ, თეთრი ეკლესია. ერთ დროს მაღლა ჰქონდა ეკლესიას აწეული გუმბათიანი თავი, და ცივად გადმოყურებდა სოფელს ოქროთი მოვარაყებული ჯვარით. ახლა კი მებატონეს ეკლესიიდან გუმბათი ყუმბარას ჩამოუნგრევია, ჯვარი აღარა სჩანს და ეკლესიაში სკოლაა მოთავსებული.

— ზარებიც, რომ ჩამოუსხნიათ მამაძაღლებს. — იგინება ჩუმად, ტუჩებს შუა, პოლკოვნიკი და ზვერავს თავისს ყოფილ სასახლეს.

რათ უნდა დაზვერვა სასახლეს? აკი ამ ადგილის ყოველ კუთხეს, ყოველ ნაჭერს კარგად იცნობს პოლკოვნიკი?

იცნობს, რასაკვირველია, იცნობს, მაგრამ უნდა ერთხელ კიდევ, სანამ ბრძოლა დაიწყებოდეს, გადახედოს თავისს ყოფილ მამულს. ვინ იცის, ეგებ იმსხვერპლოს ბოლშევიკურმა ტყვიამ. სურს ერთხელ კიდევ განიცადოს ის, რაც დაჰკარგა, შეიძლება, სამუდამოდ. განსაკუთრებით უყვარდა პოლკოვნიკს ფანჩატური. მხოლოდ ფანჩატურმა, ავრეხის ლერწმა, ფანჩატურს რომ შემოხვევია, და პოლკოვნიკმა იციან, თუ რაოდენი სიხარული უგემნია იმ ფანჩატურში პოლკოვნიკს.

და მოაგონდა პოლკოვნიკს.

მაშინ ის კაპიტანი იყო, ორი შვილის პატრონი, როდესაც მას მოეწონა თავისი ეკონომიაში, ჭარხლის პლანტაციაზე მომუშავე გალკა. გალკა იყო ხუთმეტი წლისა, სიცოცხლით სავსე თვალები ჰქონდა, გიჟივით ცეკვავდა, წკრიალა ხმით მღეროდა, ტანი ჰქონდა წვრილი და თხელი იმ ავრეხის ლერწივით, ფანჩატურს, რომ ბურავდა, და იყო შავი. სიშავისა გამო მას გალკა უწოდეს.

გალკას დანახვისთანავე აენთო პოლკოვნიკი და განა მარტო ისა? ყოველი ახალგაზრდა აენთებოდა გალკას სიახლოვეს, სწორედ ისე, როგორც იფეთქებს დენთი ანთებულ წუმწუმისაგან. და პოლკოვნიკმა გადასწყვიტა დაეგრიხა იგი ავრეხის ლერწი და პლანტაციიდან სახლში მოსამსახურეთ გადმოიყვანა.

და ერთხელ, როდესაც მან ოჯახი მეზობელ მებატონესთან გაისტუმრა, უბრძანა გალკას ჩაი გაეწყო ფანჩატურში. და როდესაც გალკამ სუფრა გაშალა და წასვლა დააპირა, პოლკოვნიკი მიეპარა უკანიდან, აი ისე, როგორც ეხლა უპარება თავის ყოფილ სასახლეს, და მძლავრად მოხვია ხელები.

ბავში შეკრთა, შიშისაგან დაკივლებაც ვერ მოახერხა, კანკალი აუვარდა. პოლკოვნიკმა იმძლავრა და პატარა გაუფურჩნელ ჩიტს ფრთები მოსტეხა.

გაახსენდა ეს პოლკოვნიკს და ფანჩატურს ძებნა დაუწყო. ვერ იპოვნა, ვერსად მოჰკრა თვალი.

— ნუ თუ დაანგრიეს? — ფიქრობს პოლკოვნიკი,— მაგ ველურებს რა ესმით სილამაზისა?

— მაგრამ ეს რა არის?

იქ, ფანჩატურის ადგილას, რაღაცა ოთხკუთხოვანი იყო ამართული. ძეგლსა თუ გავდა.

— ძეგლი თუა... — ბუტბუტებს პოლკოვნიკი.—მაგრამ რა ადგილია ეგ ძეგლისათვის? ჰო, ბოლშევიკებიდან ყველაფერს უნდა მოელოდე. სადაც ჩვენ ეკლესიებს ვაშენებდით ისინი სკოლებს აშენებენ, სადაც ჩვენ ფანჩატურები გვქონდა, იქ ძეგლებია ამართული. უეჭველად უნდა ვნახო, მართლა ძეგლია თუ რა? ეგებ რედუტია.

და პოლკოვნიკი გაწვა მიწაზე, ხოხვით გაემართა უცნაურ საგნისაკენ.

— ვინ მოდის? — მოესმა ცოტა ხნის შემდეგ მრისხანე ხმა.

— ღმერთო ჩემო! — გაუელვა თავში პოლკოვნიკს, —ბოლშევიკების მზვერავები. ხომ დავიღუპე? გამეგზავნა სხვა, რაღა მე წავედი?

მაგრამ პოლკოვნიკმა იცოდა თავისი კარ-მიდამოს ყოველი ხვეული, მიფოთხდა ფუღუროიან ხესთან და შეძვრა.

— არავინ არაა. — მოესმა პოლკოვნიკს. — ჰო, ნიკიტა, თავდადებული მებრძოლი იყო ამხანაგი ხმური. როდესაც აქ, შარშან ბრძოლაში მოჰკლეს კადეტებმა, ის ჩვენ დიდის ამბით დავასაფლავეთ, იქ, სადაც უწინ პოლკოვნიკს ფანჩატური ედგა, ძეგლიც დავუდგით. ეკლესიას ზარები ჩამოვხსენით და, რადგან ის ამბობდა ოქტომბერმა მთელი მსოფლიო უნდა დაიპყროსო, ჩვენ იმ ზარებიდან ბურთი ჩამოვასხით და იმ ძეგლს ზედ დავადგით, ხოლო ჩვენ ლითონი არ გვეყო და ბურთი შიგ ცარიელია.

— რატომ ბურთი?

— ის ამბობდა, მსოფლიო ბურთის მსგავსიაო და იმატომ.—მოსაუბრემ ხმას დაუწია და განაგრძო:

— იცი, ამხანაგო, უცნაურს ამბავს ამბობენ სოფელში. ქარიან ღამეს ამხანაგი ხმურის ძეგლი ლაპარაკს იწყებს, ზოგი კი ამტკიცებს მღერისო. გლეხებს შეუნიშნავთ, თუ არაფერს არ ლაპარაკობს ან არ მღერის, მაშინ ჩვენი საქმე ცუდათაა, მაგრამ თუ ძეგლმა იმღერა, უეჭველად დამარცხდებიან თეთრები. აი, წუხელისაც, დნეპრიდან ქარი ჰქროდა და ძეგლი მღეროდა.

პოლკოვნიკს ტანში გააჟრჟოლა.

— თუ ამ ღამესაც იმღერა უეჭველად დავამარცხებთ თეთრებს.

ხომ იცი, ამაღამ ან დილით ძველი პოლკოვნიკი დაგვესხმის თავს.

— ყველაფერი იციან... საიდან? საიდან?—ეკითხება თავის თავს პოლკოვნიკი.

როდესაც მოსაუბრეთა ხმა მიწყნარდა პოლკოვნიკი გველივით გამოხოხდა და თავისი რაზმისაკენ გაემართა.

მთვარემ თავი ამოჰყო და დნეპრიდან ჰქროდა ნელთბილი ქარი.

## II.

მაშ ასე, ამხანაგებო! — არიგებდა წითელი რაზმის მეთაური თავის რაზმელებს. — პოლკოვნიკი ძველი კაცია, ის ეცდება პირველ ყოვლისა თავისი სასახლე ნახოს, თავისი კიბეზე დააბიჯოს ფეხი, ამიტომ ის მოინდომებს სასახლის აღებას და მას დაესხმის. ჩვენ კი ხევში ჩავსაფრდეთ და პოლკოვნიკის რაზმი რომ ეზოში მოგროვდება, ალყა შემოვარტყათ, ორი ტყვიის მფრქვეველი ეკლესიის სახურავ ქვეშ იქნება, სადემონსტრაციოთ ათი კაცი დარჩება შენობაში. იცოდეთ, როდესაც თეთრები მოგროვდებიან ეზოში და ეკლესიის სახურავიდან ტყვიისმფრქვევლები დაიწყებენ მუშაობას, ჩვენ შეტევაზე გადავალთ.

და წითელი რაზმი ნაწილ-ნაწილად დაიშალა, ხევსაკენ გაემართა.

ფრთხილად, მწყობრად მოემართება პოლკოვნიკის რაზმი სასახლისაკენ, წინ პოლკოვნიკი მოუძღვის, წარბშეკრულია პოლკოვნიკი. საშინელ შურისძიებას დაუღარავს მისი შუბლი და აწყობს გეგმებს, თუ როგორ გაუსწორდეს ამხედრებულ გლეხებს.

აი, გაიმარჯვა პოლკოვნიკმა. ის შეყრის მთელ სოფელს და უბრძანებს:

— ახ ასი როზგი თითოს.

— ქალებს კი ტანთ გაახდევინებს, რომ:

— მათივე ტანისამოსით დასწმინდონ და დაგავონ სასახლე. დე, იმუშაონ ტიტვლებმა. რა სეირი იქნება... აი, ტიტველი ახალგაზრდა ქალი, თავისი პერანგითა სწმენდს პოლკოვნიკის საწოლ ოთახის იატაკს. პოლკოვნიკი უკანადან უყურებს, როგორ დამდგარა ქალი მუხლებზე, მოხრილა ოთხად, დაუჭიმავს ამობურთული კუნთები, გაწითლებია ზურგი და უთრთიან ბარკლები ყოველი მოძრაობის დროს. აი, ახლა სხვა მხრიდან უყურებს პოლკოვნიკი ოთხად მოხრილ ქალს, — გვერდიდან. მკერდიდან იატაკს დაყურებს ორი გადაბრუნებული ზარი, მკერდზე რომ მოუხსნელად მიკრულია, და ქანაობენ ზარები. პოლკოვნიკი ჩექმების წვერით წაულიტინებს იმ ზარებს, ქალი, ისედაც გაწითლებული, სულ აენთება, ქალის მუცელი დაიწყებს კუმშვას და მკერდი შფოთვას. ხა... ხა... რა სურათი იქნება.

და პოლკოვნიკს გააჟრჟოლა ტანში.

პოლკოვნიკმა ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის პატარა კოლოფი და კოკაინი ჩაიყარა ნესტოებში.

გამხიარულდა პოლოვნიკი, მოუმატა ნაბიჯს და განაგრძო ფიქრი:

— სასახლის დერეფანში თითო სვეტზე თითო ბოლშევიკს ჩამოვკიდებ, ალაყაფის კარებში, სარებზე, მოჭრილ თავებს წამოვაცვამ, დავარჩევ თხუთმეტ-თხუთმეტი წლის ქალიშვილებს, დავურიგებ ჩემს რაზმელებსა და მოვაწყობ ათინის ღამეს აბანოში... რევოლიუცია, მე მივცემ მათ რევოლიუციას... თავისუფლება, მე ვუჩვენებ მათ თავისუფლებას...

— ბატონო პოლკოვნიკო. — გამოარკვია პოლკოვნიკი ერთმა ოფიცერმა, — ჩვენ უკვე ახლოსა ვართ. რას გვიბრძანებთ?

— ზ... ზ... ზ... ზ... — მოზუზუნებდენ ტყვიები სასახლიდან.

— ყმაწვილებო! — დასჭყივლა პოლკოვნიკმა. — წინ.

სხვადასხვა შენობებში ჩასაფრებულმა წითლებმა ასტეხეს სროლა, მაგრამ თეთრებმა აიღეს სასახლე.

პოლკოვნიკი ავარდა სასახლეს კიბეზე. მთვარე ანათებდა მიდამოს: სასახლეს, ბაღს, გუმბათ დამსხვრეულ ეკლესიას. თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, ვინ და რა იქნებოდა ამ სასახლეში: წითელი თუ თეთრები, სიმღერა თუ ტირილი, ვარდი თუ ძირმწარა. სულ ერთი იყო ეს მთვარესათვის, მაგრამ არ იყო ეს სულ ერთი ძველი პოლკოვნიკისათვის და ამიტომ პოლკოვნიკმა შემოირბინა ყველა ოთახები. და ერთი ოთახიდან, იქ, სადაც უწინ ფანჩატური იდგა, მან შენიშნა ძეგლი.

პოლკოვნიკი დააკვირდა ძეგლსა.

— რა უცნაური ძეგლია. რომ არა გავს სხვა ძეგლებს... ძეგლი თითქოს დახოცილ გვამთაგან ჩამოსხმულ კვარცხლბეკზე იდგა, ძეგლის ტანი ზევით აპყრობილ ხელებისაგან შესდგებოდა, გრძელი იყო ეს ხელები. ხელების თითები ერთად შეჯგუფულან და ზედ ეჭირათ დიდი ბურთი.

— მაგრამ თუ ძეგლმა იმღერა უეჭველად დამარცხდებიან თეთრები.

ვინ ჩასძახა ეს პოლკოვნიკს?

— უნდა თვითონ ვნახო,— წამოიძახა პოლკოვნიკმა და ფანჯრიდან გადახტა.

მთვარე ანათებდა ძეგლს. ეს რა ხდება პოლკოვნიკის თავსა? ბურთიდან, რომელიც აქა-იქ დაცხრილული იყო, უცნაური ხმები მოდიოდა.

მღეროდა ძეგლი...

რას მღეროდა? გაშეშდა პოლკოვნიკი. იგი ხმები ჯერ ტირილს გავდა.. თითქოს ვიღაცა მოუმწყვდევიათ ბურთში, სტანჯავენ, აწამებენ და იგი წამებული კვნესის. პოლკოვნიკს ზურგი გაუცივდა, ხელები დაუსველდა, როდესაც მძიმე დააწვა მხრებზე.

— რა სისულელეა, — ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა და მიუახლოვდა ძეგლს.

ქარმა დაჰქროლა და ახლა სხვანაირად ამღერდა ძეგლი, თითქოს ვიღაცამ, შურისძიებითა და ბრაზით სავსემ, დაიწყო მღერა. და იმდენი სიძულვილი იყო იმ ხმებში, რომ პოლკოვნიკს გაახსენდა რამდენ წელთა უწინ აქ, ამავე ადგილას, ყოფილ ფანჩატურში, როგორ დაიმონავა პატარა გალკა და შემდეგ, ყინმოკლულს პოლკოვნიკს, როგორი საზარელი ხმით უთხრა გალკამ:

— ბინძურო!..

— დავამსხვრევ. — წამოიძახა პოლკოვნიკმა, იძრო ხმალი და კრა ბურთსა.

როგორ აქლარუნდა ბურთი. თითქოს შეირხენ ხელებიც, გაინძრენ ლითონისაგან ჩამოსხმული ადამიანთა ტანებიც, ბურთმა კი, ბურთმა გამოსცა უცნაური ხმები. ახლა ეს ხმები უფრო მხიარული იყო, გამარჯვებულის სიმღერასა გავდა.

წაბარბაცდა პოლკოვნიკი.

— სამარიდანაც კი გვებრძვიან, — გაუელვა თავში.

არა. როგორ შეიძლება? პოლკოვნიკმა დაიბრუნა თავისი სასახლე და გლეხებს დაუთმოს იგი. უნდა დაიმსხვრეს მომღერალი ძეგლი.

და პოლკოვნიკმა ისევ აღმართა ხმალი.

— ტა... ტა... ტა... ტა...—გამოაფრქვიეს ტყვიისმფრქვევლებმა ტყვიები ეკლესიის სახურავიდან.

— ბატონო პოლკოვნიკო! ბატონო პოლკოვნიკო!— გაისმა ეზოში დაფრთხალი ხმები.

— ვაშა...ა...ა...—დასცა ყიჟინა ხევმა.

და ხედავს პოლკოვნიკი: მთვარის სხივებზე ლაპლაპებენ ხმლები, გარს ერტყმიან ეზოსა და სასახლეს, აი, შემოიჭრენ შიგ ეზოში. ატყდა ხელჩართული ბრძოლა. კვნესიან დაჭრილები, თითქოს ეზოც, სასახლეც, ხეებიც კვნესიან. ამ ბრძოლამ არ იცის დანდობა.

— არც ერთი დაჭრილი!—ესმის პოლკოვნიკს.

—ა..ა..ა.! მაშ ასე!—დაიყვირა პოლკოვნიკმა—და მოიღერა ხმალი.—ჩემსკენ ბიჭებო!

მაგრამ ვერ მოსწყდა ადგილს. სწორი ხელით გამოსროლილმა ტყვიამ დასცა იქვე. ისევ დაჰქროლა ქარმა და ისევ ამღერდა ძეგლი.

ანათებდა მთვარე, ჰქროდა ქარი, მღეროდა ძეგლი და მომაკვდავ პოლკოვნიკს ვიღაცა ეუბნებოდა ყურში:

— შეუძლებელია მათი დამარცხება. მათ სამარეზე ძეგლებიც კი მღერიან...

# წერილი სურამიდან

19 სექტემბერს ქ. სურამში მოწვეული იყო სურამის თემის კომ. მეურნეობათა თათბირი. მოხსენებები გააკეთეს ამ. ი. გაბუნიამ—მიმდინარე მომენტზე და როსტომაშვილმა, შუბლაძემ და ორჯონიკიძემ ბიუროს მიერ, ადგილობრივად. კომ. მეურნ. შორის ჩატარებულ მუშაობაზე.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მიიღეს მონაწილეობა მრავალმა ამხ., რომლებიც აღნიშნავდენ მუშაობის პროცესში შემჩნეულ ზოგიერთ დეფექტებს, განსაკუთრებით, კომ. ამ. მარქს. შორის და სუსტ ხელმძღვანელობას მათზე. კომ. მარქს. ცენტრ. ბიუროს მხრივ.

ზოგიერთი ამხანაგები აცხადებდენ, რომ პირველად ესწრებოდენ ასეთ თათბირს და სურვილს გამოსთქვამდენ, რომ ხშირად იმართებოდეს ასეთები.

მუშაობის გაცხოველება ამ რაიონში აუცილებელია, რადგან სჩანს, რომ არალეგალური ჯგუფები კიდევ ეწევიან ანტი-საბჭოთა მუშაობას, რასაც ხელს უწყობს მასების გაურკვევლობა პოლიტიკურ საკითხებში.

დამსწრე საზოგადოება, მოხსენებებით, მეტად კმაყოფილი დარჩა და გამოიტანეს სათანადო რეზოლიუციები, სადაც გმობენ ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ და პროვაკაციულ „საქმიანობას“.

**ძია გაბო.**

**სარედაქციო კოლეგია.**

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.